


ლიტერატურული გაზეთი

№22 19 მარტი - 1 აპრილი 2010

ბამონის ორ კვირავი ერთხელ, პარასკევით

ფასი 50 თეთრი



კოეზიზ
მარიამ ნიკლაური IV-V
ნუგზარ ზაზანაშვილი VII
ნატა ვარადა X

მსხმ
ვახტანგ ჯავახაძე VIII-IX

ინტერვიუ
გიორგი ლობჯანიძე XI

გურამ ნიბახაშვილი
XII-XIII

თურბუმანი
ჩარლზ დიკენსი XIV-XV

დასაწყისი № 9-21

სპარსული, მიმიხვდა ეს გვერდისა, რო რაღაცას ვატრიალებ, აქედან შევხვდავ, იქიდან შემოვხვდავ და იმასაც მიმიხვდა, რომ სუფრაზე რაღატომღაცას არი, აღარ მომიხდა, თუ რა იყო.

მე ვგრე ვიფიქრე, რომ მიმიხვდა, აბა რატომ ჩამომყვდა დაბლა. რა, ღვინოს ვერ ამოვიტანდი?

ესლა, როგორ არი, რომ მე ლინნათ თითონაც ეგეთი ვარ, რომ დაუმთავრებელ რამეებს ვერ ვიტან. მახავიკი ტყუილა კი არ ვარ. აი, მაზში მოხდებდა ხოლმე, რომ ფუტბოლი გადაიდებდა. ვასნავნომ, ცუდი ამინდის პონტი, მარა მე უფრო მახავიკის პონტიც მგონია ხოლმე. ოღონდ ესლა მე მაგაზე არ ვამბოფ, მახავიკის პონტი რას ჩალიჩობენ, მე ვამბოფ, რომ, აი, მაზი გაქ, დაპუსნიმ შაბათის თამაშზე და გადაიდო ნიპაროდილონი დროით ან შეწყდა და ეგ მაზი, ისეთ პონტი, რომ თუ გინდა შეტავაზეფ აზრს, რომ კაროჩე, გადაიდო და აღარ გვინდა, მოვკლათ მაზი, ან თუ გინდა, პროსტომც, ვისაც გაუმაზე, ეუნები, რომ დაარჩეს მაზი და როცა იქნება თამაში, მაშინ იყოს. თუ ჩაბმულები გაქ, ვაფშე უფრო რთულათ არი, რომ დაპუსნიმ წყვილათ გაქ აღებული, ელოდე ესლა, შეილება საბი თვის მერე ათამაშონ. ქვიტარში კიდე ვაფშე სხვანაირათ არი, მარა მაგას არ ვამბოფ ესლა. მე ვამბოფ, რომ მე პროსტო დაუმთავრებელი არ მიყვარს, და რახანც გადაიდო, რაც არ უნდა ხელში მჭეროდა და ვიცოდე, რომ ჩემი მაზია, მაინც დაურეკავ და ან ვნახავ და მეთქი, გადაიდო და ჩავშალოთ მაზი. მარტო იმიტო კი არა, რომ ეს დანნი მამენტ მაზია და მე რა ვიცი მერე როდის ათამაშებენ და მაშინ ვინ რა ფორმაში იქნება. მარტო მაგიტო არა. იმიტო, რომ ვგრე გახსნილი რაღაცის მოცდა არ შემიღია. ჩემ ნერვოზებს კიდე ეგ უნდა? რავი, სუ რომ დასპაკონინებული ვიყო, მაინც ეგრე მიჩვენია. კაროჩე გახსნილს ვერ ვტოვებ რა. აი, მე რატომ საროჩები არ მაცვია ან ზემიკიანი რამეები? იმიტო, რომ გახსნილს ვერ ვიტან. არ შემიღია რა გახსნილი, მგონია დაუმთავრებელი. ადრე მეგონა, რომ ნიჩივო და მერედამერე, მეთქი, ვსიო, რა საროჩკა, თორე საროჩკებიც ხო მევცვა ხოლმე ვფიზნი, როცა ბიჭი ვიყავი და მერეც. პროსტო, უნდა შემეკრა. და ესლა, სულ შეკრული საროჩკით სიარული, ვინა ხარ? უნივერსტეტი ვემუშაოფ? ხოდა, იმიტო მაიკები და ფემპრეები მიჩვენია, ანდა რაღაცები რომ არი კიდე, რა ქვია, არც ვიცი. კაროჩე რა, ამ საროჩკის შეკვრის პონტიც ვაგეც, რომ, აი, აშუშენია რომ გაქ, რომ სახში მოხვედი, კარი ღია დატოვებ და დაიძინებ. ხო მაგრე ნიუშენდა გძინავს, რომ იცი კარი ღიაა. ხოდა, სახლის კარი უფრო ვაჭნია, რომ დაკეტო და მე კიდე სახლის კარის პონტიც მაქ ყველაფერი ვეგენი — საროჩკის შეკვრა, მაზის ჩაშლა, რომ გადაიდებ, ლაპარაკში მოჩენა, იმ პონტიც, რომ რაღაცა ისეთი უნდა მოხდეს, რომ ლაპარაკი დაუმთავრებელი დავტოვო და მერე სულ არ გამახსენდეს. ჩიჟიკა იყო ჩემი გუნდელი, ადრე სკოლის დროს, და პასტიანა, რომ ვიხდიდით რაზივალკაში, ტუფლებს სულ ერთნაირათ დებდა და ასწორებდა, ხან იქით განევდა, ხან აქეთ გამოწევდა, რომ თავის თვალის მონონებაზე დაეტოვებ. ხოდა, იგივე პონტიცა, მარა პროსტო, მაშინ მე კი არ შეუწყვიტე იმათ ბაზარი, დედაჩემთან რომ ჩამოვედი კუხნაში, პროსტო ჩავთვალე, რომ ეგ ბაზარი აღარ მაინტერესებს და ვგრევე იმიტო ავდექი. რომ დამინტერესებოდა, ხო არ ავდეგობოდი და შეუწყვნიდი და შეუწყვანიდი. კაროჩე, რახანც შეწყვიტე, მიტოვებული აღარ იყო ჩემთვის, მიტოვებულია, რომ რაღაცა მინდა მივიღო და ვერ ვიღებ.

ხოდა, რატომ ვამბოფ ესლა მაგას. შეილება ამ ნათლიაჩემ გვერდისასაც ეგ პონტი ქონდა, რომ მიმიხვდა, რომ რაღაცა ნაშუწყე და მერე გავეჩრდი და იმას კიდე არ ევასება, რომ თითონ რაღაცა უნდა მოესმინა და აღარ ისმენს და როდის მოისმენს, ვაფშე აზზე ვერ მოდის, გახსნილი ურჩება რა ბაზარი. სუ რომ ქურდი არ იყოს და პროსტო როჟა იყოს, თუ არ ევასება ეგ პონტი, არ ევასება და მორჩა, მოვა და პკითხავს, რა იყო, ერთი კარგათ გამაგებინეო.

კაროჩე, ჩემსავით პონტიც შეილება ჩამომადგა, სად დატყდი, ტო, კარი ან ჩაკეტე ან მაშინ რაღას შემოდოდიო პონტიც. ნათლია არი და შეილება ვგვევარ, რა იცი. სხვა ვარიანტი ის არი, რომ ეს კი არ ჭირს, პროსტო ჩაუშულამა და მთელი საღამო ისედაც რაღაცეებს ლაპარაკობდა და პროსტო გახსნილი ქონდა და იქ ისეთი

პონტი იყო, რომ ერთმანეთში კი ბაზრობდენ, მარა ამბობს ჩემ გასაგონათ ხო ყვებოდენ და მე რომ ნავედი, მულამი ნაერთვა, რომ ნათლულს იმ პონტიც ვედარ ველაპარაკებო. ხო იცი, როგორც არი, რომ სუფრაზე ვილადასთან რომ ჩაუჯდები დიდ სუფრაზე რა და ვდრეფ რომ ნავა და შენ რომ რჩები და, აბა, რაღა აზრი აქს, მთელი მულამები იმასთან გქონდა დატყერილი.

შეილება ეგ პონტიც იყო, მარა შეილება მესამე პონტიც იყო და თუ მესამე პონტიც იყო, მაშინ უფრო ასტაროქნი უნდა დამეჭირა. მესამე პონტი, რომ გვერდისას შეილება ეგეთი პადხოდი ქონდა თავის გულში, რომ ისმენს ჩემ შეყვანებს და ფიქრობს, ამოტოლა ქურდი ვზივან და ეს რაღაცეებს მექმეიტება აქაო და ერთი, ნათლულია თუ ჩემი ძმაკაცის ბიჭია თუ ვინც არიო, ადგილი უნდა მიუჩინო თავისიო, რომ ზედმეტი ლაპარაკები და აზრები აღარ გამომთქვასო.

თუ ეს ვარიანტი იყო, ქურდის ლაპარაკი ყოველთვის ქურდის ლაპარაკია, პალაქინელნი ამბავია, თუ ატრიცანელნი ამბავია, მარა თუ რამეს გადაწყვიტავს, რომ ამას ესლა ესეო და ასეო, მაშინ ფთხილათ უნდა იყო.

აკა მორჩილადე

ლეგენდარული ქვეყნის პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება



მე ესლა სიცლით მოკვდებოდი, მე ქურდების ვალი მქონია და იქიდან გამოვსულვარ კოხტათ, რომ დაეჭვი მაგი მაიკა რომ მაქ, რამე დიდი კი არა, იმ შავ მაიკაზე, პროსტო, მტვერიც არ დამცემია.

ხო, ვაფშე მაგრა ვერ ვიტან მტვერებს და ეგეთ რამეებს. პროსტო, რასაც მტვერი აყრია, პონტიცა, რომ იმაზე ან დავჯდე, ან ჩავიცვა, ან რავი. ნატუკა მეუნება, შენო ხარო ყველაზე მაგარი მწმენდავი მსოფლიოში. რომ დაიჭერს ხოლმე კუხნის ტილოს და დავაი, მტვერსო გენაციდს უკეთებსო, დაბრეცილიც ამბობს ხოლმე. ვაფშე რა მევასება იცი? სველ ტილოს რომ გადაუხვამ მტვერიანზე და რომ უყურეფ, რომ ნელ-ნელა შრება. ჩქარა შრება, ოღონდ მაინც ნელა.

კაროჩე, მესამე ვარიანტი ყველაზე ისეთ პონტიც იყო და სიმართლე რომ გითხრა, სამივე მეზარებოდა და არცერთი აღარც მაინტერესებდა, რომ ესლა ხელახლა ამეწყობ ბაზარი და გამოკითხვა, მარა აგე, რას არ გაიგონეფ, თუ ნახავ, თუ როგორც არი. თითონ არ ჩამომადგა დაბლა?

ხოდა, მოუკიდეთ ამ სიგარეტს და ვაფშე არ მინდოდა მონევა, სიმართლე რომ გითხრა და მაინც გაბოლების პონტიცა, რა და ხო მკითხა, რაღაცის თქმა რომ გინდოდა, და ველარა თქვიო, თუ აღარა თქვიო.

ესლა გაიხსენე ის შეყვანები, მე რომ მალა შეწყავდა. დანერგოზებული ვარ ისედაც და ღვინოთი მაგათთან ვერ დავთვერი და ვერაფერი და დედაჩემთან ვამატებდი კუხნაში და მე კიდე ვგრე ვიცი, რომ თუ გადავიფიქრე, კაროჩე, პონტიცა, რომ მერე ის რაღაცეები ტვინში ისე გამოვადვილო და დაუნყო ჩხვლეტიები და ესლა, აბა, რას ამბობდო, როგორ ამბობდი და ვაგეცინება და ვაფშე აღარ მახსოვს, რა შემეყავდა, ტონკოსნები რა, და ვგრე ვიცი, რომ თუ დავიკვიდე, ვსიო, ველარ მოუბრუნდები. აი, ზუსტათ ხო ვგრე გაიმორეფ რაღაცას და ეგეც ვგრეა, იმას ის მულამი და პალაქინია უნდოდა და გამოვედი მაგ პალაქინიდან. კაროჩე და მეთქი, არა, არაფერი, ბოდიში, თუ ვგრე გამორდა, პროსტო, ძველი ამბები მიყვარს და ვაგეცინა ნათლიაჩემ გვერდისას, ჩაეცინა, რა.

კაროჩე, შენო, უფროსების პატივისმცემელი კაცი ხარო, ვგრე გეტყობა და ვგრეც უნდა იყოს და შენი თავის მიშვება არ გიყვარსო.

რავი მეთქი, რაცა ვარ ეგა ვარ. ძნელიაო მამაშენის შვილი რომ ხარ ბიჭიო. მამაშენის ძმაკაცობაა ძნელი და შვილობა რაღა იქნებაო. ჩემი პალაქინია იციო და მაინც ძნელია მამაშენის ძმაკაცობაო. სიძეობა ადვილი, იმ პონტიც, რომ სიძე მაინც შორს არიო, თორე თუ ახლოს არიო, ბიჭობაზე უარესი იქნებაო.

ვაგეცინეთ და ნაპასებსაც ვერ ურტყამ, ისე ბოლი გამოუშვი.

კაროჩე, მაინც რაღაცა კითხვა გინდოდა და აღარ მკითხეო და მე სადაც არ ვიყო, მეუნება, იცოდე, რომ შენ გვერძე ვდგევარო, პროსტო, ერთი ზვანოკიო და ვსიო, რუსეთშიცო, აქაცო, პროსტო, რომ გიყურეფ, ვიციო, რომ არაკაცურს არ ჩაიდენო. ესლა მეც ვამეცინა. მაღლობათქო.

არა, პროსტო, რა გინდოდა რომ გეკითხა, თუ იქ ვაგეცინა, დავაი, მკითხე ესლაო.

მეთქი, რა ვკითხო ესლა, ხო არ დაუნყეფ, რომ რასაც ქურდობაზე გეგონა და მიაწეი, ის გამოდგომ?

ეგ მინდოდა, რომ მეკითხა ბოლობოლო. გლავნი ეგ იყო და მაგაზე რასაც მიპასუხებდა, მერე იმის მერე უკვე საბაზრო იქნებოდა.

არა მეთქი. ვიფიქრე, ესლა მაგის მოტრიალება რაღა იქნება და მეთქი, რაღაცა ვკითხო და მოვფიქრე ვგრევე.

გამიგონია, რომ ქურდებს იარაღი არ ქონდათ ძველათ და ესლაც არა აქთ ხოლმე მე რაც მინახია, კაროჩე არ ატარებენ და ისიც გამიგონია, რომ ერთმა ქურდმა მანქანა დაკეტაო, რომ დატოვა ქურაშიო და მერე გააჩერეს ეგეთ რამეზეო.

ნათლიაჩემმა გვერდისას ძან გამოსაცდელათ შემომხედა და მეო ძველი ზაკალის კაცი ვარო, მე სანამ დავბოლოდო იარაღი სულ მქონდაო, ქურდათ პირველ სროკზე დამსვესო და მაგის მერეო მე პროსტო იარაღისთვის ხელი არ მომიკიდიაო. ნი ტომტო რომ არ მდებია, არ მომიკიდია, ქურდს იარაღი რათ უნდაო, ქურდის იარაღი სიტყვააო.

ეგეთი ბაზარი გაუშვა. მეთქი, ხოდა, ეგ რომ ვიცი, მინდოდა მეკითხა, რომ ვინმე თუ დაგებრდებოდა. ვაფშე, ხო არი, რომ მოუნეგს ქურდს დაბრეფვა ვინმესო.

ვაგეცინა და შემომხედა ისევე, ქვემოდან, ამოიღო ახალი სიგარეტი, მოუკიდა და არ გინდა შენცო და მეთქი, არა ესლა მოვნიე და კაროჩე, ეგ გინდოდა მართლა გეკითხა?

ხო მეთქი. ხარაშოო, რაღაცას მოგიყვები მაშინო, თუ დაგავცალეს და არ დაგვიძახესო. ხარაშოო მეთქი და დავჯექით კიბზეო. იმან მართლა მომიყვა რაღაცა, მარა მამაჩემმაც მალე დაიწყო ყვირილი, გვერდის, გვერდისო და საბოლოოთ, რა რისთვის დაიწყო ამსიგე ამბის მოყოლა, აღარ ვიცი.

კაროჩე, ქურდი ისეთ პალაქინიაში შეილება ჩავარდესო, რომ დაბრდოს კი არა, პროსტო ვალდებულია დაბრდოსო, რაც აქ და არა აქ, იმით უნდა დაბრდოსო. ოღონდაც ეგ გააჩნია სად არიო, და პირიქითაც, მამენტ, შეულია დაბრეფვა და ჩანს, რომ აუცილებელიც არიო მაგისთვისო, რომ დაბრდოსო და შეილება იმ დროს დაბრეფვის პრავა არ ქონდესო ან თავის თავს არ მცესო.

გვერდისას ნასწავლავი ქველი დროის ქურდობის ნასწავი, რომელიც მე, აბა, რაში გამომადგა

ხოდა, დამიწყო გვერდისას იმის მოყოლა, როგორ ვაქონდათ ძველათ ბაითები.

როგორ ამულამებდენ ამ საქმეს, თუმა რატომ მიყვებოდა ამას, არ ვიცი, კაცის დაბრეფვაზე ვკითხე და რამე კავშირში თუ იყო, რა ვიცი, ველოდებოდი, აბა, რათქო. მაგ დროს უკვე ვაფშე აღარ მაინტერესებდა, რაც თავიდან შეუყვანე.

კაროჩე, ძველათ თბილისში ქურდი ვინც იყო და რამეკიანი ქურდი, მაშინ მაგდენი სიტყვები არ იყო, რომ მომავალი, მომპარავი, განაბი, ქურდი, კანონიერი ქურდი და ეგეთები. მაშინ, ვინც იპარავდა, ქურდი იყო და ვსიო, ხანდახან დაუძახებდენ ხოლმე, რომ ქურდი ბიჭია და ეგ არიო, ხოდა, დღეს რასაც პროსტო ქურდს ეძახიან, მაგას ერქვა რამეკიანი ქურდი. ვგრე თქვა იმან და მეც ესლა რა ვიცი.

ესლა უფრო იტყვიან ჩვენები, რომ კანონიერი ქურდიო, მაშინ რამეკიანო. მაშინ ნამოყენებაზე უფრო იტყოდენ დასმულიო. კაროჩე, სხვა რამეკიანები დასვამდენ და იმიტო იტყვიან ხოლმე, ქურდათა ზისო. ეგ ისეთი რამე იყო, რომ მაგარი უნდა ყოფილიყავიო, იმიტო, რომ ქურდათ ზის — ვეჩნი რამე არ იყო, როგორც ესლა არ არი ვეჩნიო. რამეკები რასა ნიშნავსო, რამე რა არიო, გვერდისას. რამეკაში ხო არი სურათიო, ვგრეც ქურდი რომ რამეკაში შედის, იმან იმ რამეკის ნესები რაც არიო და ქურდული რაც არიო, იმის გარეთ გასვლა არ შეუღიაო. ვაფა თუ მოუნეგს გასვლაო და იმას ვგრევე სხვა ქურდები მოსვამენო. ძველათ ვგრე იტყოდენო. ქურდათ დასვესო თუ იტყოდენო, ქურდობიდან ვაფუჭებაზე იტყოდენ, ვაფუჭესო ან მოსვესო, თუ მოაჯინესო. მერე იმას ერქვა ვაფუჭებული ქურდიო ანდა გაბოზებული ქურდიო, რუსულიათ რომ სუკები ერქვათო. ოღონდაცას ესლა რუსულ ბაზარში ნუ შემიყვან, ის კიდე ცალკე ამბავიაო და ქართული ქურდებისთვის ბევრისთვის ძნელი ყოფილა რუსულ ბაზარში შესვლა და მოგიყვები მაგასაცო. ვგრე გამიგონიაო, რომ ბევრი, ვინც ქურდათ იჯდა აქაო, ეტაპზევე მოფუჭდებოდა ხშირათ, პირველივე ატლსო ტინიკშიო, ბევრიც იმათვან იმიტო, რომ რუსულ ბაზარში ვერა ქაჩავდა და ეშლებოდაო, მარა თუ მაგარი ხარ, ისწავლიო.

და ამას მოაყოლა ერთი ამბავი. რომ გამიგონიაო, რომ იმ დროში ბევრი სოფელი ქურდები რომ ნამოვიდა ჩვენშიო, ერთი ეტაპი მიდიოდა დალნიშიო და სასვე იყო ქართველი ქურდებითო. ერთი ოცი სული ერთათ იჯდაო და იმდენი ატარეს ციმიბრო, ვაბაზურესო და თან ეტაპზე მაგარი რუსი ქურდები ემატებოდაო და ბოლოს რომ ჩავიდენ ადგილზეო, იქ ვაგონებიდან რომ ვადმოვიდენო, სასტავი დაუხვდა ქურდებისო და რუსული ფენია შეიყვანესო და ამათ ნახევარი არ ესმოდათო და ბოლოს იმ რუსებმა თქვესო, კაროჩე, ჩვენი ძმები ჩვენთან ერთად წამოდითო და ეგ კი ყველა მიგიგო, მარა ვერ მიცეს მნიშვნელობაო და სამი-ოთხი მიხვდაო, რომ ესენი ქურდები არიან და ამბობენ, ვინც ქურდი ხართ, ნამოვით ქურდებთან ერთათ და გამოვიდა სტროიდან და ნავედითო უთხრაო და იმათ გადაკოცნესო და, კაროჩე, ლამის მხრებზე შეისვეს, რამეგარი ქურდები შემოვიერთდაო და ვინც ვერ დაუშულამა, ისინი ხო ვგრევე არაქურდათ დარჩენო, თავისთავათ ვაფუჭდენო. აი, ვგრეა ხოლმე ქურდათ დამჯდარის ვაფუჭებო. არა, სხვანაირათაც არიო, მარაო, ვგრეც ხდებო, რომ ქურდს რომ გეძახიან, თუ არ გამოეხმაურე, რაღა ქურდი ხარო.

მე რომ პირველი სროკი შევედი, მაშინ ნათლუხში იყო კოლონიაო და ერთხანს იქ ვიყავიო და ქურდები ბევრი იყვნ ქაო, სულ რამეკიანი ქურდებიო და ოც ქურდს გრიზნია ქონდა ერთმანეთშიო, ერთი ავლაბრელი იყო ბებერიო, მეორეც ლოტკინელიო და იჯდენ მთელი დღე და აგინებდენ ერთმანეთსო და უკვე ბიჭიკო მანთაშოვის პაქელნიკათ ვიყავი ნამყოფიო, ომარა ბოიოვას ვიცნობდიო და მაგრა მიტყდებოდა, ეს ორიც რამეკიანი ქურდები იყო და ომარა და ბიჭიკოცო, იმიტო, რომ ესენი იყვნენ უღონო ქურდებიო და ომარა და ბიჭიკო კიდე ვაფშე მაგარი კაცი-ბიო.

იქ მერე შემოვიდა მუსტაფა და იმან მოანესრევა რამეები, თორე, იქ ქურდები იყვნენ, ძალა არ ქონდათო. ერთი

ხალიოტნი რო ყოფილიყო, ყველას ერთათ გააფუჭებდა, პროსტო, ამათ ზედზე არ იყო.

და ვერე ყოველდღეო. ეს ერთი ქურდი ეტყოდა მეორესო, შენ ჩემ თვალში ქურდი არა ხარო. ეგ კიდე გაფუჭებაა, მეტი რადა უნდა უთხრას ქურდმა ქურდს, ძველათ ეგ ერთი ნინადადებდა ყოფნიდა გაფუჭებასო და მამენტი თავშიაც არ ჩაარტყამდენო, ის მეორე კიდე, ვითომ ეგეც არაფერიო და ლექსებს ისმენსო, ეტყვიდაო, არა ვარ და ნუ ვარ, ნადი შენი დედაცო. დედას აგინებდაო. ამას უყურებდიო და ვგიჟდებოდიო. ერთი, სიტყვით არაქურდით ტოვებს მეორეს, მეორე კიდე, ქურდის სიტყვით არაქურდი, ზნაჩიტ თავს გაფუჭებულათ არ თვლის, ღონეს ვერ ხედავს, რომელიც გააფუჭებს და ქურდს დედას აგინებს, რაც ვაფუჭე დიდი გრეხია, ანუ თითონაც აფუჭებს, იმიტო, რო თუ ქურდმა ამაზე ატყევიტ არ მიცა, და თან ერთი და სწორი ატყევიტ, თითონ არი გაფუჭებულიო.

აი, ვერე იყო და სხვა ქურდებს ვითომ იმათი ბაზარი არ ესმოდათო და ისინიც პადერმეო არ ითხოვდნო. კაროჩე, სტრანნი იყო და ყველას ისევე ქურდი ერქვაო. ძველი ღარიბი ქურდები იყვნენ და რა ვიცი, ეგეთი ვაგების არ შემხვედრია მერე არავინ, მაშინ ნათლუხში რო იყო, მარა ერთი დღე არი და ამბავი მოვიდა, მუსტაფა შემოდისო. ის მუსტაფა ჩემი ახლობელი რო მოესწრო მერე და შემოვიდაო და ეხლა იქ როგორ არიო, ყველა თავისას ელოდებო და ქურდებიც ელოდებიან მუსტაფასო და გამოატარესო და დაუძახეს ქურდებმა, მუსტო, შენი ძმები აქ არიანო მთელი კოლონიის წინი და მუსტაფა წავიდაო და ორი ამათგანი გადაკოცნაო, გადახვია ხელი და თქვაო, აი, ჩემი ძმები აქაო და სხვა ძმს ვერა ვხედავო და ნაყვა იმათი. იმ დამესვე ვინც არ გადაკოცნა, ყველა გააფუჭა. ჩვენ არც გაგვიგია ისე და გადავიდენ სუკებში და მერე იქ აგინებდენ ერთმანეთსო.

კაროჩე, ყველა ეს გვრიტისა, მიხსნის. რამეკებიო.

მერე ეგ რამეკები ვაფუშე მოშორდაო და პროსტო ქურდს ეძახოდნო, მთავრობა კიდე კანონიერ ქურდსო.

კაროჩე, ჩვენ რა ბიჭები ვიყავით და ნახალუკაში ვიზდებოდიო და ქურდების ცხოვრებით ცხოვრება გვინდოდაო, მაშინ ვერე იყო, რო ქურდს არაფერი არ ქონდაო. მაყუთიც არა ქონდაო და მოპარვაზე იყო იმისი ცხოვრება და პურის ჭამაო. ვინდა რამეკიანი ქურდი ყოფილიყო, გინდა ისე ჩვენსავით ბიჭები, ვინც პარვა დაინყო, ის მოპარვაზე უარს არ იტყოდაო, თუ დიდი საქმე არა ქონდა და სად იყო ვერე ყოველ თვეში დიდი საქმე იმ პატარა ქალქში, წვრილსაც მოიპარავდა და ეგ სირცხვილი და რამე კი არ იყო, რო, დაპუსტიმ, ათი კილო ყველი მოიპარა ბაზრიდანო, ნაბაროტ, ეგ მაგარი ძნელი ქურდობაა და მიდი, აბა, დღისით და ღია ბაზარში დახლიდან ფუთი ყველი მოიპარე.

აი, ეგეთებს მიყვებოდა.

მე რა ვიკაიფე იცი, კაცი ყველს იპარავს და სროკავენ და შედის და იქ პალაუენია უჭირავს. ქურდაც რა. ვერე იყო, როგორც გვრიტისა ამბობდა. დაპუსტიმ ერთ იაშიკ ბოლტგაიკებს მოიპარავდა და ჩაიტანდა ან ებრაელების უბანში ან ვინმე ბარიგებთან და ჩააბარებდა. ეგ იყო მაგის ფული. დეპოებში რო სახაშე იყო ძველიო, მერე ელდებოს ხინკლები რო დაერქვაო, იქ ადრე ხინკლები არ იყო, მარტო ხაში იყო, გვრიტისა ამბობს, და ერთმა ძველმა ქურდმა ნამიყვანაო, რუსი იყო, პახომა ერქვაო, რამეკიანი ქურდი იყო მეორე ვეგუფის ივანლიდი, ომში ნაომარო და ძლივას დადიოდაო და ნამიყვანა ბოინში ლილოზეო, შეღამებულზეო და ბიჭი ვიყავი, რავი წავეყვი, საქმეა, რამეკიანი ქურდი გეუწებო და ბოინი უნდა გავასუფთაოთო. მეთეხი ხორცს მოვიპარავთ და სადა ხარ, ხაში მოვიპარეთო, ჩლიქი, ფაშე და ამბავი, სულ ცალკ-ცალკე ეყარაო და, აბა, გაუშვი ტომრებშიო, პახომამო და ოთხი ტომარა გავავსეთო. იმას აღარ მოგიყვებო, რო ბოინი რა პახორნი და ბოლო რამეა, სულ სისხლებში და ნანლავებში, და სისხლების სუნი და ხორცებიო და აქეთ ამ ხაშის სუნიო. კაროჩე, ზურგი ვათრიეთ ეს ოთხი ტომარა მე და პახომამო. იასნია, მოპარულია, იასნია, სწორე ქურდობაა და ღამე მოვიტანეთ დეპოებში ამ სახაშეზეო და იქ კაცი დაგვხვდაო. ანონაო და ფულიც მიცა პახომასო და იმან ჩემი დოლია ეგრევე მომიცაო. რა უკადრისობა, რის უკადრისობა. ქურდო-

ბა ქურდობაა, იპარავ, იპარავ.

მეორე ხოდი, რო რაღაცა ფული გქონდეს ქურდს, არი თამაში. თამაში ძველ დროში ისეთი პონტია, რო ქურდი ხო არ უნდა მუშაობდეს და ნამუშევარი იყოს სადმე და შეუღლია მოპარვა და თამაში, იმიტო, რო თამაში მუშაობა არ არი. ამატო, ძველათ ქურდი რო ხარ, იგროკიც ხარ. ეხლა ეგ ისეთი პონტია, ძველათ შეილებოდა გაგეგო სადღაცას რო აბეზალოვკაა, მარა ეგ აბეზალოვკა არ იყო. პროსტო, მერე თამაში სხვანაირათ გამოიყენეს ზონებზე თითონ ქურდებმა, თორე იმის აბეზალოვკობა მე არ გამიგონიაო, ვერე თქვა გვრიტისამ. კაროჩე, თუ თამაშობდა ქურდი რაღაცას, ისევე ზარი და კარტი. ეგეც აკრძალული ამბავი იყო. იმიტო კუკიაზე იყო ტორკები, რო დიდი ზარის თამაში მიდიოდაო. კარტით კიდე ჩაუჯდებოდი სადღაცას მოფარებულში, იმიტო, რო კარტი მანც ისეთი პონტია, რო კი აზარტინა და აკრძალულია და სროკიც არი, მარა, მამენტი, კარტი კურორტზე ღიათ ითამაშება. ეხლა კიდე ზარი, სხვა პონტიაო. იყო, რა, თორე ეხლა ავე კახინო და მიდი ეთამაშე გოგოსო. პროსტო, ზონაზე და ციხეში მანც სხვა არი და ცოტა ძველებურათ არი, რო გამოიყენეს იმ პონტში.

მერე დამინყო მოყოლა, როგორ მიდიოდენ ბაითე. ჩვენ დროს იყო, რო ბაითის გატანა, იმან კიდე თქვა, რო ჩვენ ვერე ვიტყოდითო, რო ვაგასუფთაოთ. ეხლა ამბობენო, რო ამდენი და ამდენი გამოვიტანეთ, ჩვენ ვიტყოდითო, რო ნამოვიდეთ.

ეს ლაპარაკი იყო და გამოვიდა მამაჩემი, რას დამჯდარხართ აქაო, ჩვენ იქ რას ვაკეთებთო, გელოდებითო. ორი სიტყვა მაქ ჩემ ნათლულთანო, გვრიტისა ეუნება და თქვენ დალიეთო და ჩვენ რო ამოვალთ, ყველა შტრაფს მივიღებთო. მამაჩემი გაეცინა, დაშტრაფული ქურდი რაღა ქურდიო. იმათში მოდიოდა ეგეთი შუტკები და ეტყობა გვრიტისამაც იმიტო მიუშვა ენა, რო მამაჩემი იყო, ხო იცი დამლელია, სუ რო ნაჩიკუ ხარ და მამაჩემმა ვერევე ძველებური დაურტყა, იმიტო, რო დაშტრაფვა სხვა რამეა და გვრიტისას კიდე უნდა ეთქვა, რო რასაც გამოვტოვებთ, თამადა ხარ და დავგაღვინო.

იმან კიდე მოკლეთ უთხრა, ჯარიმაო. მამაჩემმა რო გაეშუტკა, დაშტრაფული რაღა ქურდი ხარო, გვრიტისამ უთხრა — ვაი, ვაი, არ გამაჩერო შე სლიშკომ კაი ტიპოო. ამ სიტყვაზე მამაჩემი წამოვიდა, გადმოიხარა და ერთი მაგრათ ჩაკოცნა გვრიტისა და შუა ჩახუტებრაში ლოყაზე უკბინა ისე, რო ამან დათყვირა. მე რა ვიცოდი, იმ ბნელივით ადგილზე ვერე რას დავინახავდი. პროსტო, რო დაიყვირა, მივხვდი, რო უკბინა. ძველი კაცების მიხასია, ქეიფში უცბათ ერთმანეთს სიყვარულით უკბენდენ ხოლმე და მამაჩემმა მონატრებთი უკბინა. გვრიტისამ კიდე ამან რო უკბინა, ხო გაუსწორდა მარა, რა ძალივით იკბინები ტოო, ვერე აულუ აბაროტი იმ შტრაფზე და ეს იმ პონტში უთხრა, ძალი მერა ხარო. მერე ჩაეხუტა თითონაც მამაჩემს. ეგეთი ატანაშენია ქონდათ. ქურდისთვის დიდი რამეა, რო ისეთი ძველი ძმაცაცი ყავს, რო იმასთან სულ ფიქრში არ არი, რა ვთქვი, როგორ ვთქვი, როგორ დავჯექი, როგორ ავდექი. კაროჩე, ისეთი ნდობა აქ, რო სიტყვა წინ არ დაუხვდება და თან რახან ეგ ლაპარაკი შუტკაში მიდის, ვაფუშე დიდი დასვენება იმისთვის. მე ვერე დავინახე ეგ ამბავი. კაი ხარაშო, მამაჩემმა, გელოდებითო. მე ერთი ლიოშკათ წამომარტყა თავში და გვრიტისამაც დაინყო ძველებურ ბაითზე წასვლის ამბების მოყოლა.

დანა, კაროჩე, იარალში არ გადის, იმიტო, რო დანით კარის გაღება შეილება, ფანჯრის შუშის ამოღება შეილება, ატმირკა კაროჩე, გელები. თან თუ რამეკიანი ქურდი არ ხარ, გინდა რეველვერი ჩაიდე, გინდა ზარბაზანი. ამაზე მოვკვდი სიცოცხლე. კაი სამადღენი დანები, ფინკების პონტში სულ გეჭონდაო თორმეტი-ცამეტი წლიდანო, მერე იარალიც მქონდა გახვეული ტაოტიან ქალადმი და დამალულიო. ბაითზე წასვლა კიდე როგორ იყო. ეხლა ჩვენ ჯერ პატარა ბიჭები ვიყავითო და საქმეს ვინ მოვცემდაო. საქმის მიცემა იყო, რო მოვიდოდა ვინმე და მოგიყვებოდა, ესადაეს ახალი არიო, ამდენიდაამდენი ოჯახის წევრიაო, ამ დროს მიდიან, ამ დროს მოდიანო. ამ დროს ოპერაში დადიანო და ეგეთები. ამდენიდაამდენი აქეთ, ესადაეს ქონებაო და ეგეთიდაეგეთი შესასვლელიაო, ასეთი ფანჯრებიო, კატა ყავთო, თუ ძალიო, ოქროებს სად ინახავენო, ბევრი მატერია აქეთ ძვირფასიო,

სერვივებით, ვერცხლებო, ხრუსტალიო და ეგეთებს ჩამოთვლიდა, ფული, ალბათ, აქ ექნებათ შენახულიო და, კაროჩე, გაძლევთ ამ საქმესო და იმას კიდე საქმიდან დოლია ერგებოდა. ეგ იყო საქმის მიმცემა.

ნაკოლის მიცემამო ხო იტყოდენ, ეგ არიო. ეგ საქმის მიმცემი მერე ვაფუშე არ ჩანდა, პროსტო იმას მოჭრილი წილი ქონდა და საქმის მერე მიეცემოდა.

ვაფუშე, ჩვენ რო პირველათ ეგეთ საქმეზე წავლეთო, ბაითზე წაველით ვაკეშიო. ოთხი ვიყავითო. ერთი არი დამყვირებელიო, გარეთ დგასო, ჩვენ ბიჭობაში ვასერზე დგომა ერქვაო, კაროჩე წყალზე დგომაო, ეგ ძაან ძველი ქურდების ამბავიაო. ერთხელ დაღინი ვიჯექიო და იქ ამბებს ვყვებოდითო და ერთი ძაან ძველი მომპარავი იჯდა რუსიო, ცარსკი ამბების მცოდნეო და იმან მითხრაო, რო მეფის დროსო, ქურდული სხვანაირათ იყო, ოლონდ ბევრი ქურდული სიტყვები გერმანული იყო, ბლატნოი გერმანული სიტყვაო, და ვასერიც გერმანული სიტყვაო. მე რო საქმეებზე დავლიოდი მეფის დროსო, ბიჭი ვიყავი და ვასერზე მაყენებდნო. ვასერი ყოფილა წყალი გერმანულათ. კაროჩე, როგორი პონტი იყო, ეზოებში ადრე ხო ოფში კრანები იდგაო. საკარაო კრანები და ბაითზე რო მიდიოდენ, ერთი ეგ დამყვირებელი შევიდოდა ეზოში და იმ კრანთან ჩამოჯდებოდა, საკარაო კრანები რო იყო და თუ რამეს შეამჩნევდა იქ, დაიყვირებდა: ვასერ, ვასერო. წყალიო. თან წყალთან იჯდა და ამიტო ერქვა ვასერიო, პროსტო, იმ ძველ პრისტუნიკს გაკვირვებია, თბილისელ ქურდებში საიდან არი ესაო, ეგ რუსეთში იყო და გვრიტისას უთქვია, თბილისშიც იყო ეზოებში კრანებიო.

მეორენაირათ კიდე მაგას ერქვა ატანდაზე დგომა. იმიტო, რო დაყვირება იყო ატანდა. რო დაიყვირებდი — ატანდა, ესე იგი, მოდიოდა ჩორნი ვარონა ან ეგეთი რამე. ჩორნი ვარონა მაშინ ძაღლების მანქანას ერქვა. ხო, ძაღლებსო, კუსოჩნიკები ერქვაო, კუსოკებიო. მერე გაძაღდაო.

აი, ეგეთებს ყვებოდა ნათლიაჩემი გვრიტისა.

ოლონდაცო, ატანდა არ ვიცი რა არიო. სომხურათაც არ ვიცი რა არი და თათრულათაცო. რუსებში იყო, ატანს, დაიძახებდენ და უნდა გეპლეტა სახლიდანო.

სიმღერა როა ძველი, აქ ვილაცამ დაიძახა ატანდაო და ჩვენი ფულები მილიციამი ჩაბარდაო. ეგაც ახსოვდა, მე არ მახსოვდა. იმას ახსოვდა.

კაროჩე, საქმე ვერეაო, რო ბაითზე რო მიდიოდი, ლუჩში ვარიანტი იყო, რო ოჯახში არავინ არ არიო, კაროჩე, ბაითზე წასვლამო ყველაზე უფრო სასწავლებელია დომოშიკობაო.

შენ ვინა ხარ, უნდა შენთვის გააიასნო — ყაჩაღი ხარ, ქურდი ხარ, იპარავ თუ ართმე. მე უფრო იმაში გავიზარდე, რო პარვა იყო. კაროჩე, ლუჩში პონტი არი, რო ბაითზე რო მიდიხარ, საქმე ისე იყოს მოცემული, რო ბაითი დგას და დაძრაო. ეგეც სუ ძველი სიტყვები ყოფილა. ბაითი დგას იმას ნიშნავდა, რო სახლში არავინ არ არი და უნდა შეხვიდე და გაასუფთაო ანუ დაძრა იქაურობაო. ეგ არი ყველაზე სწორე ქურდობა იმ პონტში, რო ქურდს თუ ვინმე არ გააღებოდა და წინ არ დაუდგა, ჩვენ დროს ვერე იყო, რო ქურდმა არავინ არ უნდა შეანუხოს, შევიდეს, დაძრას და ნამოვიდეს და ვერავინ ნახოს. დაჟე ისეთ დროს, როცა დაპუსნიმ ვილაცა სახშია და ღამე ძინავს, შენ იმათ კი არ უნდა დაეტაკო და დაჯიო ფულებიო, შენ უნდა შეიპარო და გამოიპარო. ჩვენ დროს ვერე იყო, გავასუფთაოთო, აბა, როგორ იქნებოდა სხვანაირათო. გასუფთავება ხო არ არი ყაჩაღობა, რო, აბა, დაჯიო.

ეხლა ისეც არიო, რო შეხვდები და სახლში არიანო. უნდა გააჩერო და წამოსაღები წამოიღო.

ოლონდაც იმათი მოკვლა და წვალემა ქურდის ამბავი არ არიო. ჩვენ დროს არ



იყო, ეგ ყაჩაღის ამბავი იყო. დანა რო გაქ, მიუშვერ და გააჩერეფო, თორე მერე დაუთავებაც კი იყო შემოსული მოდაშიო, უთოებს ადებდენ, ფული მოგვეციო, მარა, მე რო ქურდობა დავინყე, მაშინ ეგეთი ნამდვილათ არაფერი იყო, ეგ არ იყო ქალაქის ქურდების საქმე, ეგ ყაჩაღობა იყო. ეხლა ქურაშიც შეგვიყენებია, ბიჭები ყოფილვართ და მიგიჭიქრია ცოტაზე დანა და ჯიზე გავგისუფთავებია, მარა მაგას ქურდობასთან საქმე არა აქსო, ქურდობასთან საქმე აქ კარმანიკობასო, ეგ არი ნაღდი ქურდული საქმეო.

კაროჩე, ბევრი ნახსენები თქვა ნათლიაჩემმა გვრიტისამ და ყველაფერი ახსნა, ოლონდაც იმ ძველი დროის. მე მაინც ეგეთი აზრები გამოვიტანე, რო მოპარვა არ იყო სახში ავტომატებით შევარდნა, მოპარვა იყო მოპარვა და ქურდობაც ეგ იყო. კაროჩე, გვრიტისას მაგის თქმა უნდოდა, რო ბაზრიდან ყველის მოპარვა უფრო ქურდობაა, ვინემ ოჯახის ამოწყვეტა და ბრილიანტის წამოღებაო.

და იქ მომიყვა ომარა ბოიოვას ამბავს, რო უფრო აზზე მოვსულიყავი, იმიტო, რო მერე მოუბრუნდა, რა უნდა ქნა, ბაითში რო შესვდი.

კაროჩე, ომარა ბოიოვა იყო, ძაან მაგარი ქურდიო, ბოიოვა სომხურათ მაღალს ნიშნავსო. კაროჩე, მაღალი ომარა, მარა ომარა ბოიოვას ეძახოდენ ყველა, ან პროსტო ბოიოვას. მერე მოუკლიათ ძაღლებს, სადღაცას კუს ტბაზე თუ რაღაცა, ჩაუტხრილიათ, ისე ვერაფერს უზამდენო. ოლონდ ეგ მერე.

მაგარი ძლიერი ქურდი იყო, ძაან დასტონიო და ერთხელ ბაითზე წავიდაო, პადელნიკთან ერთათო და მოზრუნდა და ეგ ვაფუშეა მაგარი ნიტო ყოფილა, რო ბაითზე მიდიხარ და იქედან ცარელა წამოხვედი. ქურდი ხარ, ვერ მოიპარე? ეგ პონტია, კაროჩე, როგორც მივხვდი და ეხლაო, მაინც ომარა ბოიოვა იყო და ქურდებში ხმა გავარდა და ვისაც ბოიოვაზე მტრობა ქონდა და მტრობა ქონა ბევრო რო ეგეთი მაგარი იყო, იმათ გულში ჩაუდიათ, ეხლა თუ არა, საჭირო დროს გაგახსენებთ, ცარელა რო გამოდის ბაითებიდან, ამდენ ხალხს ცარელაზე ტოვებსო. და ერთი დღეც მოსულა და ქურდების სხოცა არი ავლაბარში, ერთი ზაბეგალოვკის უკან ოთახში და ომარა ბოიოვა ერთ ქურდს მაგრათ აწვება, აფუჭებს რა, გასაფუჭებელია, ალბათ, მე რა ვიცი. კაროჩე, შეყავს და ამ ქურდმა უთხრა, შენაო, ვისი მოჯენა გინდაო, ის ომარა არა ხარ, ბაითიდან ცარელა რო გამოხვედი, ვითომ მეტროს ვაგონში იყავიო და ყველას ხო გულში აქ და ეს ქურდი ამბობს, იყო, ვერე ძმებო, იყო? სხვა ქურდებს ეკითხება და იმათაც, ჩვენ ვერე ვიცითო, რო იყო და ბოიოვამ კიდე არც ვაჩერეა ბაზარი და ვერევე უთხრა, ტამ რებიონოკ სპალ, სუკაო. ვერე თქვა და გაიგე ეხლა, რომელ ქურდს უთხრა, ამის მთქმელს თუ სხვა რომელიმეს, იქ ვინც იყო, ყველამ თავი დაუქნია, ვერე გაგვიგიაო და ამანაც, ვერე სუკაო რო დააყოლა, კაროჩე, ყველას უთხრა, აბა, ვინ მიიღებს თავის თავზეო და ყველა სათითათო მოუბრუნდა ამ ქურდს, და კაროჩე, რო ლიშბა თავისთავად არ მიეღო, იმას მინავს, ჩვენც ვე ვიცოდითო და თავი გამოიძვინენს ომარას ნათქვამიდან და ის კიდე გააფუჭეს. კაროჩე, ამ ამბის სიხუსტეზე ეხლა ატვირია ვერა ვარ, მარა რაც ომარა ბოიოვამ თქვა, ისე გავიგე, რო იმან, ამოტოლა ქურდობა, ბავშვი რო დაინახა მძინარე, იმის ხელში არ გამოძრავდა, რო ბავშვი არ შეანუხა და ნაკოლი ქონდა, რო ბაითი ცარიელია და რახანც ბავშვს ეძინა, იმის ვაიდა გამოღვიძებდა და შემიწება საქმე წინ არ დაუყენა. პრავა ქონდა მაგისი და გამოიყენა, ადამიანურშიც კარგათ მოქცა და ქურდულშიც ვაფუშე მაგრათ, რო გამოიყენა და გაჩუმდა, პაძელნიკი კიდე არ გააჩუმდა, გაუშვი, იმან რაც უნდა ის თქვასო. შემოინახა, იცოდა, რო წამოაძახებდნენ. წამოაძახეს და იქ დაურტყა პენალი და რაც უნდოდა გააკეთა.

ეგეთებს ყვებოდა გვრიტისა. სულ ამბებია თავში რა, ვაფუშე ამბებია. იმიტო, რო მერე გადავიდა, ამ ამბიდან, რო, აი, ბავშვს ეძინა და ბავშვის გაღვიძებას, ჯობია წამოხვიდე, თან თუ ნაკოლი იყო, რო სახში არავინ არ იქნება. მაშინ საქმის მომცემს მიაჩვენებ. ზოგი მოკლადაო, მარა საქმის მომცემების მოკვლა გამოსული იყო უკვე მოდიდან კაი ხანო.

გამრჩეულია შემდეგ ნომერში

მარიამ ნიკლაური

გვისმეცხე

ნი-ს

ფეხდაფეხ ჩამოგვყავა მცხეთიდან სალამო. ატმისფრად ათოვდა არმაზს და ზედაზენს. არაგვი თეთრ ჩიტებს ჩაეყოთ ნისკარტი, ვით სახე — საფლავის იებში — მე და შენ. აქ ჟამი არ ბრუნავს, აქ მყუდრო ყურეა, ფოთოლი არ სცვივა ხესა და მაცვლოვანს. აქ მთელი სამყარო ცალ მუჭში გეტევა, ღმერთამდე იმდენად, იმდენად ახლოა. და თითქოს ხედავდე იმ ხილვებს, უძველესს — ჯერ ელის ზედაზენის მთა წმინდანს, მდუმარედ, ჯერ სძინავს მის გულში წყაროებს, საკვირველს, ტყეებს კი აშფოთებს წარმართი სტუმარი. ხედავ რომ, ფრთოსნების გუნდს გასცქერს ქალწული, იქ, სადაც მტკვარი და არაგვი ერთდება, სხეულზე იცხებენ წყალს შავი ჩიტები და უმაღლესიან თოვლივით თეთრფრთებია. ხედავ, რომ უსველებს კაბას და ნაწნავებს არაგვი ქალწულს და მიჰყვები მორჩილად, შენც გნათლავს, იქ სადაც უღმერთოდ სიცოცხლე კაცზე წინ ჩიტებს და ყვავილებს მოსწყინდათ. ვინ იცის, ატმისფრად რად ათოვს ზედაზენს, რად ირევს ზამთრის ცა იებს და გვირილებს? წყალს რომ სვამს ბელურა იმ ბერის საფლავზე, ქვა ჩიტის მადლიერ მზერას რად ირიდებს? მთის ფერდზე ნისლივით მოჩანან ნუკრები, კარსანში ბუბუნებს მეფეთა სამარე, ექოს ხმას ქარვით გაატანს, საცაა, მარადისობისკენ საკუთარ ანარეკლს. ვინ იცის, რა მადლი მოგვყვება მცხეთიდან?! არაგვი თეთრ ჩიტებს ჩაეყოთ ნისკარტი — დღე არ უღამდება ღამეს თუ მეჩვენა — ბინდს წინის მზიანი თვალები ისხლტენ. და მზე არსად ჩადის, მწუხრიც ნათელია, მოვდივართ, სიჩუმეს ვსაუბრობთ, გვისმენენ.

სამი ლიმონი

სამი ლიმონი დევს მაგიდაზე, სამადსამი საესე ლიმონი, ყვითლად მღუარი. კანზე გულიდან გამოსული სხივიანი ცვარი უბრწყინავთ, მწვანე ჭიპებით მიულურსმავთ ბალების ხსოვნა. იქვე ზაფრანა, რამდენიმე კარალიოკი. თვალს მოჭუტავს ამ სინათლეზე ოთხი დღის ჩვილიც... ირგვლივ მინდვრები გადაჭიმულა სიჩუმისა. არადა, ზოგჯერ, ერთი ღერი ხმელი ბალახიც საკმარისია, ალაპარაკდე. არც სინათლეა ამდენი და არც სიხარული, მაგრამ ჟამია ხოლმე ასეთი, სიტყვა მოდგება, მოქუჩდება, აიკეცავს მინდვრის ბოლოებს, თავი მარანი გგონია და ჭრიალ-ჭრიალით ხსნი ქუთუთოებს, რომ დაიხვავო კუთხეებში, რასაც შენად დაიგულებ. სიჩუმე კი, მთელი სოფელი თითქოს მაგას ამუნათებდეს, აქ რა გინდაო, თვალს გარიდებს ცოდვიანივით. არც შენ გცალია, დაამშვიდო, გავიწყდება ერთგულება მისი ასეთ დროს, ცეცხლის ენებზე შეკიდული ჭანასავით გამურული, სულ შინ მყოფი, სულ მომლოდინე, ჭერს შემდგარი დედაბოძივით სანდო სიჩუმე — სიტყვის აკვანი.

აივსა კალთა, დედაკაცო!

მეტს რომ ვერაფერს ეღირსო, რად ღირს, გათენებას და დაბინდებას რომ ნახულობ ყოველდღე კაცი?! თითქოს სამყაროს მამაშენის ვალი ემართა, მოაგორებენ სინათლის ზვინებს ჭიკჭიკებულ ჩიტის ურმები და ეზოში სასწაულს სტყვენენ.

სასწაული იმოდენაა, ვერც იტევს ეზო, სამკვიდრელი ევიწროვება, ჰოდა, დინჯად გადააღაჯებს ღობეებს და მთა-მთა ნათდება.

ყველა შეჭხარის ღამის სიშიშველს, ყველას უნდა, სინათლეს რომ ხელი წაავლოს და ბედი სცადოს. ვერცა ხვედებიან, ვინც დღეებს ასე ეთამამება, არაფერი შერჩება ხელში. უნდა ეკრძალო!

ნათელი კვალი ჰქონია ღამეს, ნაფეხურებში ჩამდგარ სინათლეს შესცქერი და ისე იკვირებ, თითქოს გარედან შენს თავს უყურებ.

ვერც იჯერებ, ეს რა მოგვლია, როგორ ჩაზრდილობარ, მოსდებიხარ არარსებობას. სანამ დღის ქვევრში ჩაიწირებება გალობის სიტკბო, სანამ მზით ამ ქვევრს თავსაც მჭიდროდ გაუგოზავენ და ხმაურიც ცამდე აივლის, კოჭებამდელა შემოგვდებიან ჰორიზონტები შენი აივნის.

გაიკვირებენ, როგორ გაზრდილობარ, სულ რაღაც გუშინ, მაგ აივნის ჭვირებიდან იჭყიტებოდა სტრიქონის ბოლო, დასალიერი რომ გეგონა და გიკვირს ახლა, შენი ეზო ღობეს ისე გაშორებულა, თითქოს აპირებს დედამინის პალოს მორყევას, იქნებ განყვიტოს კიდევაც თოკი, აიშვას და დაბინდებად დაიაროს დარანთა კიდე.

დამთქნარებასაც ვერ მოასწრებ, ცხოვრებას - უფრო, ხედავ ბრუნდება ბინდი ძაღლივით, უხმაუროდ, კუდის ქიცინით შემოიყოლებს უკანვე სივრცეს, ვიღაცის ხელი მინას ალურსმავს ცეცხლისფერ მწუხრებს - ჭრიჭინების ჩაქუჩის ხმაა. ხეებზე გაკრულ შიშს ფერდიდან დასდინდება ციციანთელა.

სიმღერას იწყებ და მღერი, მღერი, რომ გაიტანო სული დილამდე, ეზოს ბოლოში დახუჭავ თვალს, აკვირებულ ფრაზასავით უკითხავად მთავრდება ძილი და საკუთარ თავს იწყებ ისევ: ჩიტის ნისკარტით დაკვალული დილის ბოსტანიც მოსარწყავია, ბალახებში გახლართული ნიავიც ხომ უნდა გამოსხნა, რა დროს ძილია, დედაკაცო, გადაიცვი გაცვეთილი პერანგი და კალთა აივსე, აივსე კალთა!

ისე ასხია სიხარული ამ დილის ბალებს, ხელის ანევაც არ დაგჭირდება, აიკეცე კალთა და დადექ! აგვესება, დაგიმძიმდება ვერც ვერავინ დაიჩემებს - ჩემი მოწყვიტა! შენი იქნება შენი კალთის ტკბილი სიმძიმე.

ღამეები მხოლოდ შენთვის გათენდებიან, აივსე კალთა, დედაკაცო! ფეხშიშველი გააბოტე ცისკრის ნაპირზე, დაასწარი სიხარული საკუთარ თავსაც, დაიჩემე მთელი სამყარო! არა უშავს, ნეტაი შენ, არასწორად შეგიკრავს ღილი, ვინ დაგინახავს, ჯერ ადრეა გათენებამდე, სიყვარული კი თვალგახელილი არასდროს დადის

თოვლი მოდიოდა

თოვლი მოდიოდა, როგორც ღვთისმშობელი, როგორც ღვთისმშობელი — თეთრად მოყვავილე. უკან თეთრი ირმის ჯოგი მოყვებოდა, დილას მომწყემსავდა სევდით მოარილე. ჩემი ბედისწერაც თეთრი ირემია, თვალი მოარიდეთ, აფრთხობს დილის ჩქამი და რომც გადაუხსნათ ამ თოვლს გულისპირი, ვერსად მიაკვლიოთ მისი ნაჩლიქარი. ვიცი, მდუმარება მთებზე დაეშვება, მთებზე დაეშვება ზვავის ნაწნავებად. ირმად მიმახატავს კლდეზე ანგელოზიც — დარდი დახავსილი, მე რომ მანვალედა. ცეცხლის რქატოტიანს უცხო მზერა მისდვს, მზერა, ტყვიასავით ბრმა და მუხანათი. მოგდევს ირმის ჯოგი, ჩემო ხვთისმშობელო, გზებზე ისეთია — მშვიდი, უღალატო. ბედზე ბურსეულის ბურუსს მომაბლონდავ, სულზე, ნაეკლარზე, სიტყვად დამეკმევი. ჩაივლის მარიაში თეთრი ირმის ჯოგით. ვარსკვლავის ბირკები კაბაზე აეკვრება.

სიზმარი

ალბათ ამ ღამეს, მატარებლის მწვანე ნეკნიდან გამოუთლიან ჩონგურებს, აკვნებს, ზღვისკენ გაქცეულ გვიმრიან მინდვრებს. შემოდგომას წვიმიან ნაკვეთებს ჩამოუქნიან. სევდას ექნება იმდენი საქმე, თითქოს წუხელის ვაჟი ეყოლა. სახვევებით მოესალტება მგზავრს ძველი სახლი. ეზოში ყვითლად სასოება მოილოგინებს. მოვლენ ფიქრები, როგორც მოგვები, ხელისმომკიდედ და ბროწეულებს მომაშტერებენ. გათენების ფეხშემები დაეფინება ნისლით მოლობილ ზეცის ეზოებს, სიყვარულის ზვინებით საესეს, თვალს გაავახელ. აქ არც სტუმარი გაუკვირდებათ, ჩადგება წვიმა — გუბებში, სიტყვებში — სული, მოშვიდებათ ხვალინდელი დღეები მგზავრებს — სინანულის მღვიმეების სველი კედლები. სახლში მოსულნი შემოდგომის ცეცხლის გზით წავლენ. ბილიკს შერჩება ხმელი ფოთლის მიმქრალი ნავლი. გაზაფხულამდე ქარი სევდით აგვივსებს საბძლებს. თითქოს წუხელის მომადიდა ელიამ შვილი და ჩვილ სინათლეს ვარწევ ხელებით, რქე ჩამდგომია მზისთვალავით გამშრალ ძუძუში, მათენდება ხეებიდან ნათელი ღვარი. მთებს აჯაგვრიათ ბალანივით თეთრი ნისლები, ცის გეში აქვთ დაბადებიდან. მეც გამომთალეს წუხელ სიზმრიდან, მეც მიმახატეს კედელს მგლისფერი, ამომხვავსა უშენობით მწვანედ თვალევი. დღე-ღამეების გასაყარზე, ფიქრის ყანაში, მოდით, ჩიტებო, არ დაგაფრთხოთ, შიმშილი კენკეთ, სანამ საბრალოდ არ მოიწყენდეს ჩემი სიკვდილი, სანამ უფალი ამოაცლიდეს გვერდიდან ნეკნებს და სიცოცხლეს შეუქმნიდეს თავისმართლებდ. ნანა, პატარავ, დაიძინე, ყოველთვის მოდის, ვისაც ელიან. გაზაფხულს, ზაფხულს, შემოდგომას ჩვენს ფიქრზე მეტი ფოთოლი რომ აქვთ, ჩვენს ფიქრზე მეტი ფიფქები აქვს ზამთარსაც, მაგრამ... და რამდენი სიზმარია ჯერ სანახავი.

შენ მაინც წერე

უჟამო ჟამის ყანაში ვდგავარ, ჩემი ცოდვილი წამის პურს ვიძკი. მოხვალ და ყველას აჯობებს, შენ რომ ჩემს სადარდელზე ღამაზად იტყვი. წერე, პოეტო, შენ მაინც წერე, რომ სიყვარული არის მარადი! თორემ, რითილა უნდა გავმართლდე, უფალს საკუთარ თავს რომ ვპარავდი და ავაზაკებს ვატანდი ლუკმად ბედნიერების ხვავრიელ ალაფს. განა იკმარეს?! დღემდე სხეულზე ცეცხლით მოხატულ სვირინებს ვმალავ. ჩემმა ფასკუნჯმაც მკორტნა და მკორტნა, ტკბილი ყოფილა ხორცი ადამის. საზღვარი აღარ ემჩნევთ სკნელებს, ვერ მივაკვლიე წყაროს სათავეც. პეშვი წყალივით ვარ და არცა ვარ, გზა-გზა და ბილიკ-ბილიკ ვილევო. რომელ ჭალაში გაიხლართება ჩემი იმედის თეთრი ირემი? წერე, პოეტო, უფრო თამამად შემოუძახე მარადისობას, თორემ რაღა ვქნა, რომ დავიჯერო წარმავლობა და არავისობა...



იცო, ვერასოდეს ვიქნებით ქვეყნად
საკუთარ თავზე მისხლითაც მეტი,
მაგრამ ახერხებ, ჩვენს სიმწირობი
მარადისობის ჩატიო ღმერთი!
სწორედ ამიტომ
წერე, პოეტო,
დაგიჯერებ და გენდობი კიდევ,
რომ ერთადერთმა შენ იცი, როგორ
მიმადგმევიწიო ზეცაზე კიბე.
უჟამო ჟამის ყანაში ვდგავარ,
ჩემი ცოდვილი წამის პურს ვიმკი.
მოხვალ და ყველას აჯობებს, შენ რომ
ჩემს სადარდელზე ლამაზად იტყვი.

მე უშინობაც აამეღიარება

არ არსებობ და ასე მაშფოთებ,
ბედნიერებავე, რომ იყო, შემშლი!
უბედურებას უნდა ვაჯობოთ,
აილო იქნებ ამ გულის გემი!
გამომიგლოვე? რა მჭირს საგლოვი,
სიყვარულისთვის ესალოსობ, კარგო!
ჰა, ჩემი გულის ყველა აკორდი,
გამარჯვებისთვის ფსონებად დავდოთ.
წამილოს ქარმა, თუ კი გეტმობი,
ლექსის ბუდეში ჩამდოს ლერებად.
თავადვე ვიტყვი ჩემსავე შენდობას
და უშინობაც ამემღიერება.
მიდი, გამეცი, წყალობასავით,
შერეკილები ვუხდებით ქუჩებს.
ნეტარ არიან გულით ურჩები,
სიყვარულს ათას საფიქრალს ვუჩინებ.
იქნებ, დამჯერდე, ბედნიერებავე,
რაცა ვარ, ეს ვარ! ჩამკიდე ხელი!
მგონი, კიდევაც ვგავართ ერთმანეთს,
სულ არარსებულ ღმერთებზე ვმღერით.
სულ იქ ვართ, სადაც არ მიგველიან
და საჩვენოდაც არ აქვთ ადგილი...
ის კი არა და, ჩვენი სტუმრობა
უბედურება არის ნამდვილი!
ეგ სხვამ არკვიოს, ვინა ვართ, რა ვართ,
ან რას დაგვარქმევს ქვეყნად მავანი.
ნეტავ ამდენხანს, საკუთარ თავებს
ერთმანეთს ასე სად ვუმაღავდით.
და თუკი მანც მიაგნებს უცხო
მაგ სამალავის უჩინო გზა-კვალს,
არასდროს გავთქვათ, რომ ერთმანეთი
ჩვენ უსინათლო ბრმებივით დაგვყავს.

ოღესლაც ნანახი

რაც არ უნდა სთქვა,
უცნაური თვისება აქვს ჭუჭყს —
იგი საკუთარ არსებობას
არ მალავს და
არსად გაურბის.
თეთრზე — შავად გამოჩინდება,
შავზე — თეთრ ლაქად!
ჭუჭყის წყალობით
მჟღავნდებიან
სისუფთავის ნეგატივები,
თავად იმხელს თავს,
ეს ყველაფერზე მდაბიო და
ვითომ ბოგანო,
რომ სისუფთავე შეგინარჩუნოს.
კოსმიური და უჩინარი,
მტვრის გამჭვირვალე ფრთებითა და
ქარის სხეულით მოფარფატე,
მარადიული ავგაროზი
ჩვენი სინმინდის,
მთელი გზა მოგვსდევს
ერთგულ ძალივით,
სულზე, სხეულზე,
ყოფაზე და სინდის-ნამუსზე
მოსარგები ლელვის ფოთოლი,
ხან უჩინარი, ხან საჩინო
გამოცხადება და დასტური,
რომ სისუფთავე — სამოთხის ხსოვნა,
დასათესი ხორბლის მარცვალი —
შესანახი გვაქვს სამომავლოდ,
თორემ შიმშილით მოგვიკვდება
მზის ძუძუზე მიკრული ბავშვი.
ჩვენ კი ჩიტებს ვაკენკინებთ
მარცვლეულს და ასე გვგონია,
არაფერი აღარ გვმართებს
იმ სამოთხისა,
ოღესლაც რომ ცარიელი
გამოგვისტუმრა.
თვალეში მაინც ჩავიტოვოთ
მაშინდელი „სინათლის დედა“,
იქნებ შემკვირვდეს
სიყვარულის რძე.
თბილა თვალეში
და ადვილია
სისუფთავის შენარჩუნება,
განა იმიტომ, რომ
ცრემლები ხშირ-ხშირად ბანენ?
არა, თვალეში უკეთესად იმახსოვრებენ,
რაც არ უნახავთ.

ქართლი

ცის სადაფი სოსანისფრად
ამწუხარებს ქართლის მინდვრებს.
მესიზმრება – გზას მივყვებით,
გზა შორს დედამიწას მისდევს.
ხან თამამად, ხან ბორძიკობს
და ბიბლიურ მუხლებს იყვლეფს.

მზე კეფიდან ჩუმად უმზერს.
არ ჩამორჩეს უნდა. ქართლი
მიიღენის მაკე კამეჩს,
სახრედ იქნევს დროს, ღვთის გათილის.
ჯერ არც ნოე გაჩენილა,
არც მაყვლის ბარდს ცეცხლი ასდის.

ყველაფერი არც კი არის,
ორსულია ჟამი რადგან
არც უდაბნომ იცის, რომ ზღვას
ის მკლავებში უწევს ბალღად,
არც ზღვამ იცის, რომ უდაბნო
იყვავილებს უფლის სახლად.

რომ ოდესმე მეც აქ მოვალ
და თვალეში ჩავისახლებ
მარადიულ სიზმარივით
ქართლს – სამოთხის ხილულ სახეს,
სად სიჩუმე მდუმარებით
უფლის მეტყველ სუნთქვას ამხელს.

ჯერ კი მხოლოდ დილაა და
ფეხშიშველი ქართლი მისდევს
სამწყემსავად დროს. ხრიკზე,
გზად ბიბლიურ მუხლებს იყვლეფს.

მწერალი

კაცს სასრულობის დიდი შიში აქვს,
დედამიწაც ამიტომაც მრგვალი სხეული.
ივლი, ივლი,
გადასავარდნ ბოლო მეტრს კი
ვერსად მიაკვლევ.

არადა, რამდენს უნატრია გადახტომა
ცის სილურჯეში,
და თუ მაინც სადმე მიაგნო
განსაკუთრებით ილბიანმა,
ისე სწრაფად გადაეშვება,
არც კი გაგიმხელს.

დიდი-დიდი,
ტყვიით ან თოკით მიხვდე,
რომ მან იპოვნა ბოლო
და იპოვა სწორედ იქ, სადაც,
შენ ათასჯერ ჩაგვივლია
გზაკვალარეულს.

ო, რა ამაოდ ეძებს მწერალიც
იმ „კეთილ ბოლოს“.
მოვყვით იმაზე,
რაც არასდროს გასრულდება და გაგვიქრება,
რაც მთავარია, არ დასრულდება ომანახანად,
ტაშითა და სიცილ-ხარხარით.

მთავარია, ჩვენს მონაყოლში
ბედისწერა ძლიერი იყოს ადამიანზე!
პირიქითაც შეიძლება,
მაგრამ ერთი იმათთაგანი
ისე უნდა მძლავრობდეს, რომ
აღარ შეეძლოს, თავად ღმერთსაც,
არაფრის შეცვლა,
გამოსწორება, გადაკეთება.

რომ ბრმა იყოს მთელი სამყარო,
რომ ვერ გხვდავდეს, არ ესმოდეს,
დაგმარხოს ცოცხლად,
რომ ხელი გკრას,
გაგწიროს და გაგინაპიროს.
რომ მოგანიოს ქვა აღმართში,
ზვავი დაღმართში.
რომ დაგერქვას უბედური და შეწირული,
არ იყოს სულთქმა
და არ იყოს არსად საშველი.
არც სიკვდილი არ იყოს არსად!

ხალხმა კი მშვიდად ამოისუნთქოს
და ეგონოს, რომ
შენზე ასრულდა ყველა წყევლა და შეჩვენება,
შენთვის გაჩხიბეს კუდიანებმა ათასი ჯადო,
შენთან ბრძოლაში დაელია ძალა სატანას
და აიცილეს ამით თავიდან
ყოველგვარი უბედურება.
გადარჩენილად იგრძნოს თავი,
ამოისუნთქოს



და ინატროს გულის სიღრმეში
ცოტა შურიცაც,
რატომ არ არის შენს ადგილას
და მოუნდეს, ბედისწერა გამოიწვიოს!

რომ გახდეს ტანჯვით
ბედნიერი და უსასრულო.

სადაც არ ელი

დიდი დარდი აქვს ადამიანს
იმის გამო, და დიდი სევდაც,
რომ არცერთ კითხვას არ აქვს პასუხი,
პასუხებს – აზრი,
აზრს – სიმართლე,
სიმართლეს – ძალა!

ვერ იქნა და ვერ დაუდგინა
ადამიანმა ჭეშმარიტებას
არსი და სახე:
ხან სიტყვაა, ხან – გზა, ხან – პური,
ხან ოქროა, ხან – ომია და ხან – მშვიდობა.
ზოგჯერ — კანონი, ზოგჯერ – სინდისი,
ზოგჯერ – სამშობლო
და არასდროს — ადამიანი!

პეპელაც ეძებს
ჭეშმარიტებას ყვავილის გულში,
ჭიაღუა – მიწის ნიაღში,
მგლებიც იგვივს შეჰყმუიან გადავსილ მთვარეს –
რა არისო ჭეშმარიტება?
ბანალურია პასუხი, რომ იგი ღმერთია!
სწორედ მაგისი არ გაეგება კაცს არაფერი –
რა არის ღმერთი.

ეგ რომ იცოდეს,
რა თავში იხლის ჭეშმარიტებას?!
მაშინ არცერთი ჩვენთაგანი,
ბედისწერით დამფრთხალი და
უსაზღვროებით შეშინებული,
არ ავიგებდით სახლს თავშესაფრად,
არც სამშობლოს შემოვრავგავდით,
არც სინდისში შევძვრებოდით, არც სიყვარულში,
არც სიკეთის კრედიტები დაგვჭირდებოდა
სიკვდილებში სამოგზაუროდ,
არც მშობლიური მწერლის ხილვებს
მიუვგებდით ყურს,
მითუმეტეს — კანონებს და კონსტიტუციებს,
ანდაზებს და აფორიზმებს არ ვისწავლიდით,
რადგან ღმერთზე უბრალო და გასაგები
აღარაფერი იქნებოდა ამ ქვეყანაზე!

მაგრამ რადგანაც სიტყვა არსებობს
ჩვენს პოსტსამოთხურ დედამიწაზე,
შესაბამისი საგანი და მოვლენაც ხომ
იარსებებს სადმე ნამდვილად?!
მას გამოალეთ ფანჯრები და
შორს გაიხედეთ,
ჩაისუნთქეთ სუფთა ჰაერი,
კარიც შეალეთ
ქვა და ლოდიც გადააგორეთ.
რომ იპოვოთ ის, რასაც ეძებთ,
ჩიტის ბუდეც არ დაგავინცდეთ,
სადაც არ ელით,
იქ დაგიხვდებათ ჭეშმარიტება.

რუსა ამირეჯიბი

ყვავი

„ — აი ნახე, ისე მოფრინდა (გოგო) — ვააა, ძმაკაცა, გაუმარჯოს (ბიჭი) (იციანია)“

აი, მოვედი. ოღონდაც ყორანში ნუ აგერევით, რაა. ეგენი ჩვენზე დიდები არიან, უფრო შავები და ლეშსაც ჭამენ. არც ქალაქი უყვართ, გუნდური ცხოვრება და ურთიერთობაც არ „ევესებათ“. ერთმანეთს ვმტრობთ. ნოეზე ნერვები მემულება, ყორანი რაღა გასაგზავნი იყო კიდობნიდან, ნყალმა დაიკლო თუ არა. ჩვენ რა, მაგ საქმეს ვერ აუვიდოდით?! მაგრამ, მოშინაურებული ჰყავდა... ადამიანები ყორნებს გამომამწყდევენ ხოლმე და ესენიც, გალიასაც ეჩვევიან და პატრონსაც. სასაქონლოდ როცა მიჰყავთ, გგონიათ გაფრინდებიან? მისდევენ და ზემოდან ძალღვივით იცავენ პატრონს. ნუ, კარგი, ერთგულება დასაფასებელია, მაგრამ, მე პირადად არასდროს გავხდები იმის ერთგული, ვინც თავისუფლებას ნამართმევს. თუ, რახან გამომწყდეულს შიშობილით არა მკლავს, ამიტომ უნდა მიყვარდეს? არაა, გმადლობთ, თვითონაც კარგად ვუვლით თავს. მე უბრალოდ ყვავი ვარ, მაგრამ აბა სხვა ფრინველებს ჰკითხეთ, ასევე უბრალოდ იტყვიან, ყვავიაო? რას აღარ მოჰყვებოდა, რომ შავი ვარ და საშინელი ხმა მაქვს, უზნეო ვარ, ბოროტი და ვინც ყველები. ღმერთია მონმე, რომ ცუდი ჯერ არავისთვის მდომებია, არც არაფერი მომიპარავს ოდესმე, მითუმეტეს ფრინველისთვის და არც მიღალატია. ამას ჩემი „ჩისტი“ კაცური გაგებით გეუბნებით, მაგრამ ესენი — მერიდებიან. გეკითხებით, რით ვარ სხვაზე ნაკლები? მტრედებს მაინც ვჯობივარ, არც სისხლში მაქვს ამოსვრილი ფეხები და არც საზიზღრად ვყუყუნებ, მაგას თუ ღულუნს ჰქვია. ფუუუ... თან რა თავხედები არიან, ფეხზე დაისვამ — თავზე აღმოჩნდება. ისე დაიჯგიმებიან ქუჩებზე, მოედნებსა და აივნებზე, თითქოს ჩიტები კი არა, ადამიანები იყვნენ. თან სად მაგათი ტვინის მონყობილობა, სად ჩვენი. ამას მე კი არა, მეცნიერები ამბობენ. იმ ტურტილიან და უჯიშო ბელურებს ხომ არც ვახსენებ! თუთიყუშ-ბაიყუშები ხომ საერთოდ რაა... არც გუგულებივით უგულო ვართ და არც კოდალებივით ვბურღავთ ტვინს.

„ — აშკარად გვეკონტაქტება, რა სასაცილოა.. — ჰო, მგონი რალაცას გვიყვება. ნახე, როგორ გვიყურებს და ჩხავის.“

არა, ყველას ვჯობივარ-მეთქი არ ვამბობ, თავმდაბალი და პირდაპირი ფრინველი ვარ, მაგრამ ჩემს სათქმელს ყოველთვის ვიძახი. სიმართლე კი არავის სიაშინებებს. ამიტომაც მიგონებენ, რომ ჩემს ჩხავილს ცუდი მოაქვს. ცუდი კი არ მომაქვს, ვაფრთხილებ. ეს ძანაც კარგად იცინა, მაგრამ ჩემ სასარგებლოდ იტყვიან რამეს?! მათგან განსხვავებით, „მხეცი“ ინტუიცია მაქვს და ვცდილობ ვინმეს ვარგო. კეთილშობილი, ჰუმანური ფრინველი ვარ. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს საძაგელი მტრედებიც კი მიყვარს(ფუუ). აბა, ძველებურად თეთრი ვიყო და მათსავით კურტუმობაზეკილი დავგოგამნობდე? ალბათ არ იცით, რომ ოდესღაც ფითქინა თეთრები ვყოფილვართ. თურმე, დიდი ხნის წინ, ახალგაზრდა ჰერმესმა აპოლონი მოატყუა და მისი ძროხები გაირეკა. აპოლონმა ყვავებს გვკითხა, ვინ მომპარაო და ჩვენც გულახდილად ვუპასუხეთ, რომ ოლიმპის მეთორმეტე ღმერთმა წაიყვანა მისი ძროხები. ჰერმესი ამბიციური კაცი იყო და აპოლონის შემდეგ მეთორმეტედ რომ დავასახელებთ, გადიანია, გაცოფდა და თოვლივით თეთრი ყვავები შავად გვაქცია. აი, ჩემი დიდი ბებია კი ამ ამბავს სხვანაირად ჰყვებოდა, ჰერმესმა კი არა, აპოლონმა გაგვაშავა, რადგან შეყვარებულის დალატი მოვასხენეთო. ყოველ შემთხვევაში, პირდაპირობა და სიკეთე ღმერთებთანაც კი ძვირად დავგვადგომია...

ტოვებ, ვაგდებ. უკან არ მიმაქვს, რომ დავაბრუნო, შეეშინდებათ, ანდაც დამიჭერენ. წარმოიდგინეთ, რომ

„ — რა გაბმით ჩხავის, რა ჭირს ამ ყვავს ღღეს... — ნეტავ, რამე ცუდი ხომ არ...“

ეს გოგო ხედავს ყვავს, რომელიც ოთახში მოფრინავს და ნისკარტში, მაგალითად, ის „ნევიდიკა“ აქვს გაჩრილი, ცოტა ხნის წინ რომ დაკარგა. ყვავი მაგიდაზე დებს და მიფრინავს. არ შეეშინდება? ნუუ, უცნაურად მაინც მოეჩვენება. რა თქმა უნდა, სხვებს მოუყვება, „გაბაზრდება“ ჩემი ინტელექტის ამბავი და ატყვდება ჩემზე „ვეჩნი“ ნადირობა, ან ვირთხასავით ლაბორატორიაში ამოვყოფ თავს, ან კიდევ გალიაში. არც ისეთი ადგილია ჩემი დაჭერა და მითუმეტეს მოკვლა, თავის მოტრიალავს არც მჭირდება, ისე ვგრძნობ და ვხედავ საფრთხეს. რას ლაპარაკობთ, ყვავი და გალია? გინახავთ ოდესმე ყვავი გალიაში? აი, ბულბული, თუთიყუში, ჩხიკვი, ყორანი, კაჭკაჭი ალბათ გინახავთ, მაგრამ ყვავი? ამის გამოა, რომ ჩემს ინტელექტს ადამიანებთან არ ვამუღავნებ, ვერიდები. ჩემი ყვავობა მადგება კიდევ, ჩემს დანახვას შავი კატა დაინახონ ურჩევნიათ და აქეთ მერიდებიან. ვააა, ეს როგორ, ტო? ხან მომწონს, რომ ყვავი ვარ, ხანაც არაა. ყველაფერს თავისი კარგი მხარეც ჰქონია, ასე არაა? ჭკვიანი ვარ რა, მარა რა ხეირი? ვინმეს რამეში ვჭირდები? მიყენებენ ეს ტუტუცი ფრინველები? არადა, სიაშინებით გამოვადგებოდი



ბულ ბადაგში გადაეშვა. მთელი სოფელი ამ ამბავს ყვებოდა. ყვავებმა რომ სიყვარული ვიცით, მასეთი ადამიანებმაც არ იციან. მერე გვაჭმევდნენ, ფელამუშის ნაჭრებს გვიყრიდნენ ხოლმე, თანაგრძობას ასე გამოხატავდნენ. რა ჭირად მინდოდა? ერთ დღეში დავკარგე ახალ-მოყვანილი ცოლი და ბახალა როსტომი. მას მერე კენტად ვარ და კენტად მოვკვდები, ჩემი ცოლის ხსოვნას არ ვუღალატებ. მე ქვრივი ყვავი ვარ. აი, ახლაც, ამ ამბებს ვყვები და გამვლელელებიც და ჩემი მოძმეებიც, ისე იხედებიან ზემოთ, თითქოს ფანჯარასთან ფრინველი კი არა, უცხოპლანეტელი იჯდეს. სად ნავიდე, როცა ჩემი ადგილი აქაა? ამასწინებზე, ჩემი ძმაკაცი ჩამაცივდა, ნასვამი იყო, გინდა თუ არა მითხარი, სადაა ჩვენი ადგილი. „ტრაკში პერო“ ჩვენ არ ვართ მტრედებივით და ბულბულივით, არც ბელურებივით უტვინოები, რა ვქნათ, სად ვაფრინდეთ, რომ ხმის ამოღების უფლება მოგვცენო. ვააახ, მე საიდან უნდა ვიცოდე ჩვენი ადგილი სადაა? დედამინაზე ყველგან იმავე ჯიშის ფრინველები ბუდობენ, როგორც აქ, „პროსტო“ სხვა ენაზე ლაპარაკობენ. მე ვუპასუხე, მთავარია მაინც ვინხავლოთ ხოლმე ის, რისი ჩხავილიც გვინდა-მეთქი. მერე იზოლაციაში რომ აღმოვჩნდებით? იზოლირებულები არა ვართ? მაშ სად ჭირში ვართ, ტო? გამაგიჟა ამ კაცმა რაა.

„ — ვაა, ღღეს ნამეტანი ვააბა. — ჰო რა, ყურები მეტკინა. რა უტვინოა ეს ყვავი, ჩვენც უცებ არ გავიგოთ რას ყვება.“

„ — აუუუუუ. უკვე ტვინი ნაჭამა რააა! (ბიჭი) — ლამის შემეშინდეს რააა, რა ჯანდაბა უნდა?“

მე ქართველი ვარ და მაშასადამე, ვეროპელი!

„ — ნადი აქედან რაა! ქშაა! ქშაა!“

ყვა ყვაა! ყვაააააააააა! ყვააა! ყვაა!



* * *

„მხოლოდ ის ხდება, რაც უნდა მოხდეს...“
ეს გზა დაიწყო,
ის გზა დამთავრდა...

ნიავე არხევს ზამბახის ფოთლებს...
და ვზივარ ჩემთვის
მამის საფლავთან...

* * *

ვარდები
ნიუ-იორკის ბოტანიკურ ბაღში

ნანოს ვარდი გამახსენდა
დედაჩემის საფლავზე დარგული

მაინც კუკიის მიწისკენ
მიიწვევს ყველა ასოციაცია

ვინ იცის რაა უკეთესი

და
ყველაფერი ერთი არ არის
თუ არ გინდა რომ ერთი იყოს

* * *

**იდეალური იდილია
ანუ იდილიური იდეალი**

ვზივარ საღამოთი ბაღის სკამზე, მოყვითალო
ვარდებით მორთული, იდეალურად მოვლილი
გაზონების გვერდით. მხოლოდ 9 საათ-ია, მაგრამ
კაცის ჭაჭანება აღარ არის. წყნარად ციმციმებს
ჟენევის ტბის სანაპიროს ოქროსფერი სარტყელი,
წყნარად ციმციმებს:
წყნარად ციმციმებენ პატარა,
იდეალურად სუფთა,
იდეალურად დავარცხნილი ქალაქები,
წყნარად ციმციმებენ,
წყნარად იძინებენ,
წყნარად იღვიძებენ,
წყნარად საუზმობენ,
წყნარად მსახურობენ,
წყნარად ერთობიან
და ტბაც წყნარია, იდეალურად წყნარია მუდამ -
ლივლივებს თავისთვის,
წყნარად დაცურავენ თეთრი გედები,
გარეული იხვებიც კი თითქოს სხვანაირად -
წყნარად - ყიყინებენ.

აქ მთავარი სიტყვაა “წარმატება” არ არის:
“წარმატება” წარსულია,
ანმყო “სინყნარეა”,
სინყნარე,
სინყნარე,
სინყნარე,
სინყნარე...

და ასე, სპექტაკლის შემდეგ ცარიელ დარბაზში მარტო
დარჩენილი, შევყურებ იდილიურ დეკორაციას...

* * *

აზერბაიჯანში

აჯინოური, ახარ-ბახარი...
მოგ ზაურობაც აღარ მახარებს.

შექი, ბოზდაგი, სამუხი, განჯა...
უნდა გავუძლო, ცოტადა დარჩა.

აი, აკგიოლიც, ესეც - შირვანი...
დღეა ანკარა, დღეა მზიანი.

გაულაღიათ ველად ჯეირნებს...
გიულნარა ჩაის დამალეინებს...

* * *

ტელევიზიით უჩვენებენ სსრკ-ს 1952 წლის
საფეხბურთო ჩემპიონატის რომელიღაც მატჩის
ფრაგმენტებს... სადა ვარ ამ დროს მე?.. სად არის ამ
ფირზე აღბეჭდილი ხალხი: თუნდაც, აი, ეს საბჭოთა
ჯარის ოფიცერი, ასე გამალებით რომ უკრავს ტაშს, ან
ის, შუახნის, იმდროინდელმოდურშლაპიანი კაცი,
მომღიმარი რომ შესცქერის მოედანს, ან, აი, ის
ნერვიული, მსუქანი ბიძია, უზბეკური ქუდიით,
ფრჩხილებს რომ იკვნეტს?.. ანდა სად არის ის
დიქტორი, რომლის ხმა ისმის კადრს მიღმა?..

ფირს კი ატრიალებენ და ატრიალებენ სპორტულ
არხზე: საბჭოთა ჯარის ოფიცერი გამალებით უკრავს



ნუგზარ ზაზანაშვილი

ტაშს, შუახნის, იმდროინდელმოდურშლაპიანი კაცი
მომღიმარი შესცქერის მოედანს, ნერვიული, მსუქანი
ბიძია, უზბეკური ქუდიით, ფრჩხილებს იკვნეტს...
უხილავი დიქტორი კი, უკვე მერამდნედ, იმეორებს
ერთსა და იმავეს...

ბაქოს სანაპირო პარკში

ცამდე აჩრილი ჩინარის ჩრდილში
გაუჩინარდა ზეთისხილის ხე

სანაპიროს სკამზე
ზის მზის-ძველებურ-სათვალისანი
ჭარმაგი კაცი
ხელში ჯოხი უჭირავს
თავი უჭირავს მაღლა
ჰორიზონტს გასცქერის

ბრმასაც აქვს თვალისჩინი
ბრმას სხვაზე მეტი აქვს თვალისჩინი

თვალისჩინი უჩინარსაც ხდის საჩინოდ

ვჯდები მის გვერდით
ვბრმავდები წამით
ზღვა უფერული თავიდან რომ აღმოვაჩინო

გავუჩინარდით მეც და ის კაციც
ცამდე აჩრილი ჩინარის ჩრდილში

* * *

„სული ქლიავის ყვავილს ჰგავს,
ნაადრევად რომ
ჭკნება“...
ეს გაზაფხულიც გავიდა...
რაღად ჰქუხს,
რაღად ელავს?..

ჯავახეთში

სალამო ხანს
სალამოს ტბა
სალამოს ჰგავს
მეტისმეტად...
“ყველა ორი საბოლოოდ
მაინც უნდა იქცეს
ერთად” -
მახსენდება მონაფე და
აქეთ - ეს და
იქით - ის...

იქნებ - ჯადოს წამოვეგე
სალამოს ტბის
ნათლის?..

თალიშის მთაში

ნისლში ილანდება ბებერი მუხნარი,
ცხენი,
ყრმა მხედარი
და ექვსი სახლი.
აქ არ გაცვეთილა ჯერ სიტყვა “სტუმარი”,
უცხოა შეგრძნება ახლისგან დაღლის.
აქ თვითონ ტყეა სახლიც და კარიც,
ტყე - გასართობიც და მარჩენალიც:

ჯიქმა ჩანჩქერთან დატოვა კვალი,
წყაროსთან მორცხვად ჰყვავის ტყემალი.
ამ მაცვლიანში დათვს უვახშმია,
აი, ეს მუხა მეხმა გახლიჩა,
იქ მოქარგული ველური მარწყვით
დაუფენია ტყის სულს ხალიჩა...
და ტყის სულივით,
დროც არსად ჩქარობს -
ერთია კვირა და ხუთშაბათი...
ბზებით დაბურულ საფლავის ქვებთან
მშვიდად ლოცულობს პაპა აჰმადი:
გარინდებულან ხავსმოდებული
ზოროასტრული ორნამენტები...
და თითქოს რაღაც არსებითს ვხვდები...
და ცოცხალ წარსულს ხელით ვეხები...

მზის ჩასვლა ხოსროვის ნაპრაღში

ჩამავალი მზის ვარდისფერ ფონზე
ლივლივებს ორბი -
ასრულებს ირაოს...
ეს სურათი რომ ამოვაყირავო:
ჩამავალი მზე
ცაში მოლივლივე ორბის ფონზე,
რომელიც ასრულებს ირაოს...
ხვალ შაბათია?
ორშაბათი?
იქნებ, კვირაა?..

* * *

რა ნელა ჩადის
რა სწრაფად ჩადის
მზე
ესვენება
ასე ენება

* * *

მზე ჩადის ზღვაში: ბრწყინვა-ლივლივით ვინროვდება
მზის დერეფანი. თვალებს ვჭუტავ და წამნამებს მიღმა
მკაფიოდ ვხედავ ცეცხლოვან ობობას, ოქროს ძაფივით
წვრილი ფეხებით ზღვას რომ ჩაჰფრენია. თვალებს
ვახელ: მზე უკვე ჰორიზონტის ხაზს ეხება და ბურთს
ჰგავს. სწრაფად იძირება და ჯერ აეროსტატს თუ
ნათურას ემსგავსება, მერე - სოკოს ქუდს, მერე -
ძველებური “ნაჩიკის” შუშას, ქოლგას, კუს ბაკანს,
ლამბაქს და... ფაფუ...

ისე კი, მზე არაფერს ჰგავს...

* * *

შოთა ჩანტლაძეს

მესმის
ნუ წვალობ
ნუ წუხხარ
მესმის

როცა მზე ჩადის
ამოდის ლექსი

* * *

ვანგას უწინასწარმეტყველია, 2050 წლისთვის ყველა
ადამიანი ფრენას შეძლებს...

რატომაც არა: თუკი სიზმარში დავფრინავთ, თუკი ის
ინდუსი ბერ-მოდლვარი დაფრინავდა და ფრენას
ასწავლიდა თავის მოწაფეებს, თუკი ასე გამჭვირვალეა,
ასე მიმზიდველია ცა... მიწაზე გაცილებით მეტად
მიმზიდველია...

* * *

„და ბაიდებს ობადები აბადია“

სარკესთან ირგებს ციციქნა გოგო -
ახალი წელი -
კაბას - ფიფქიან-მაქმანებიანს...
კარგია - ვინმე როდესაც გელის,
კარგია - სადმე როცა გელიან,
წრფელი ღიმილით გეგებებიან,
ჭიქას განვდიან სითბოთი სავსეს,
თვლემს სავარძელში ტკბილად ბებია...
და იბადება
ობადი
ასე...

ნებისთვის გამაღობ

ნებისთვის გამაღობ.
მინის ნაცვლად წყლად ქცევას ვირჩევ,
თუნდაც შემთხვევით, როგორც მოლუსკი,
ნამილო და დამისაკუთრო.

მე ქვებზე ოთხად მოკეცილი.
ადრე, ამ პოზით
მოვდიოდი უმახსოვროდან და მომქონდა
შენნილი ხორცი, ჩემნილი სუნთქვა.
ახლა კი ასეთს, მაგრამ მიმავალს,
ნამომადგები ათასი ტალღით ანეწილი,
გინდა რომ თმები გადაგიხილო,
სურვილები ამოგაცალო.
შემამჩნევდე,
დამუნჯებულს და თვალებიდან
მარილიან სითხე გამდინარს,
აქაფებულ გულს გადამიშლი -
მე რე სიღრმის კენ ხვნი შით წა მი ღებ.
საგანძურით დამფლავ, ჩამძირავ.
თუ მოგებურდები - უცხო ნაპირებს შემატოვებ,
უკან დაიხევ..

ნებისთვის გამაღობ.
ფერფლის ნაცვლად წყლად ქცევას ვირჩევ.

ასე გიბრუნებ საკუთარ თავს,
ანუ ერთად ვართ!

“ნითელი ვაშლი გაგორდა”

ხელისგულები მაგნიტივით ამოაკარი მინისქვევიდან,
დაატოლე ჩემს ფეხისგულებს -
ასე მატარე,
თორემ, აჰა და, სადაცაა ნაიქცევა შენი პატარა,
მოადენს ზღართანს, რუხი და სველი ქალაქის თავზე.
ვითომ თუთის ხეს ტოტი ჩამოტყდა.
აჯვარედინე შენი მაჯა ბებოს მაჯაზე, პულსაციას მე
გამოვიდენ
და მსუბუქად გადამიყვანეთ.
ერთი ორი და სააამი
აფრინდა, აფრინდააა,
გოგო აფრინდა!

არც რა. ეს უცხო ქალაქის ცაა და
შინაური ბელურები ქსოვენ განთიადს.
სახლები წვანან თევზებივით და გონდოლები
მესაჭეებს წყალში ძირავენ.
არა, ფილაქანს თუ ამოვარდნია ქვები თვლებივით
და უჩირქდება გუბებს ჭრილობა, რა?
ბაღს, სადაც ერთგროშიან დრამას მართავენ,
იცავს ცერბერის ფორმიანი კარისკაცი და
არ შემესვლება.
ეს განა რამე. არა. შენ, ხელისგულები
დამატოლე გადაყვლილ ფეხისგულებზე -
მტვრის ბუღში გახვეულ
სოფლის გულყვითელა სასაფლაოს მინის პირიდან
ამომწვდი, თორემ, სადაცაა ცას გაჭიმული ძაფი
ანყდება -
და ეცემა შენი გოგო
ერთი,
ორი,
სამი
ნაპირიდან ნაპირზე
სკუპია..
ვბრუნდები!

პათი საათით გვიან

მე გამეღვიძა, შენ დარჩი ძილში.

დილის ნაფლეთი რძისფერ ღამიდან
მოდის.
ამოდის
და ზღურბლთან დგება.
საკეტი - თითებს.
შემოდის სახლში,
რომელიც მამამ ისევ დატოვა.

შენ ნუ ენდობი - თავის დროზე დადგება ქარი.
აქედან თვალებს მოიჩრდილა - სამოთხე მოჩანს,
მწვანე გუგები
თეთრი, ქათქათა ბერიკაცების
იქ
ფერნაცვალ მდინარეების გზას გასცქერიან:
- გამოგვხედე!
გამოგვაძევეს.
ვმარხავდით ვაჟებს ასოაქნილებს,
ვითხოვდით წყალსა
და გვაპურებდნენ
დამწვარი ხორცის მომყავო სუნით.
ჩამოფლეთილ ტანსაცმელზე ფერფლად - შეილები.



ნატა ვარადა

და ახლა,
როცა ველარ ვირნმუნეთ,
ისინი ჩვენ ვართ,
ხელი დაგვადეთ - მათაც ეხებით.

ძველი ხის კიბის ბინადარ სულებს
თამაში უყვართ,
არ გაგიტაცონ!...
ადამიანის ნიღაბს - გოგრის გულს,
სანთელს უდგამ და სურვილებს აქრობ.
გათენებისას
წვები ჩრდილად.

რამაც წელში ორად მოგხარა,
ის გადაგარჩენს
სხვასთან
და
ერთად
და
შე-
მინ-წყალებს!

პინინო, რომელიც გავიც
ქეთის

ახალმა სახლმა, რიგით ალბათ მეთორმეტემ,
კარდონის ცივი, ფუტურო ქერი გადამახურა,
ეს მერამდენედ ქირით, დროებით -
ეს მახე იყო და მეც გავები.

სად დადიოდი მითხარი ამდენს?
მოდიოდნენ უცხო ქალები,
გაძვლებულ, შავ-ყვითელა
კლავიმებზე კოტიტა თითებს მატოლებდნენ და
მეც ვიღებდი,
მათ მოყოლილ მონარჩენ ვნებებს და
თეთრ ლაქებზე მასხდებოდნენ,
რადგან ვგრძნობდი ქალაქის ბოლოს,
ქალაქის სულ სხვა მასივებს შორის
მოზორიალეს,
გამთენისას გესიზმრებოდა ჩემი სხეული.
მეცამეტე წელს,
მესამე საათს, მწუხრისას მოხველ - გეცვარება
ხელისგულები,
ნაზი სურნელი ასდით მერე ჩემს გაქეჩილ ზურგს და
ხერხემალს,
ღრმად გისუნთქავ, ვერ ვიჯერებ
ისევ ერთად ვართ.

მოჭრილ მორივით კუთხეს ფარავ.
შუალამეს შიდა ოთახში სასანთლე გატყდა -
ევას სისხლით გადაგლებე,
და ახალი სახლის ბოქლომის გასაღები უბეში ჩავდე,
გადამინახე.
აბა დროებით,
ამჯერადაც არ შემდგარი გრძნობით მაცილებ,
შავი ლაქით და ჩავარდნილი კლავიმებით ცდილობ
მანიშნო, არ გავიდე ღია ფანჯრიდან და აივნის კარს
გამოვედო
თვალდახუჭულს
მშვიდად, გიტოვებ ნამდვილ სიყვარულს, არა ჩემს
მსგავსს -
შენსულიანს, მე კი გავდივარ,
ეს მიტოვებაც დამივინყე, ეს გაორებაც და
როცა თითებს დაგატოლებს,
თქვენი შერწყმისას
მეც გამომხედე, თავჩაქინდრული მეგონები,
ნანობ გაშვებას -

თუ ვერ მიგიხვდი, შაოსანი ბერი ხარ და დაყუდებული
და დროებით თავშესაფარში გადამანყდი
ხორცგამოსხმულ ნაცნობ ცდუნებას.
აგხადე და ჩემი სული გადავმალე,
ისევ გაფარებ.

ადრინანს გალობა

მამა ანდრეას

ვარაიდა სი ვარადა,
ბნელიდან მოიწვეს მოხუცი მეხრე -
მოიზღაზნებიან ხარ-კამეჩნი, გადამწულ
რქებით, უღელშებმულნი.
ვარაიდა, სი ვარადა
ზუზუნებს მეხრეს ხორხი ქარიშხალივით.
სამ დღეს სისხლი არა შეწყდა,
ხატმა მირონი იდინა,
დედამ ყრმისა ცრემლი შვა,
სამ დღეს სისხლი არა შეწყდა.
ინვა მამა ანდრეა,
სამშობლოს ეწირებოდა.
ვარაიდა სი ვარადა,
მოიწვეს ბნელიდან მოხუცი მეხრე,
მოუძღვება ხარ-კამეჩსა.
შენ ქორწილში დასაკლავი უშობელი
მინას ტორავს.
რას ზუზუნებ, ბერიკაცის ხმაზე მეხრე,
ვარაიდა სი ვარადა
ღმერთი ფეხად ჩამოსულა,
ქერუბიმნი ცხენს კაზმავენ,
ინვა მამა ანდრეა - მზის ნათელი
დასდგომოდა.
სამ დღეს სისხლი არა შეწყდა,
ხატმა მირონი იდინა,
ვარაიდა სი ვარადა,
დედა ყრმისა ილიმოდა,
წმინდა გიორგის მაღლითა
ღრუბლები ცას გასდგომოდნენ,
წმინდა გიორგის ცხენითა
ზეცადაც აიტაცებენ.
ვარაიდა სი ვარადა,
რას მომწუხრდი, ილორის გზავ,
ციტ მფარველი ღმერთმა გიშვა.
ვარაიდა სი ვარადა,
მეხრეს ხმაში რიხი ისმის.
ვარაიდა სი ვარადა,
ანგელოსთა დასი მოსჩანს,
ქართველს ვინდა შეაშინებს?!
შენ იმღერე გარიჟრაჟზე
ვარაიდა სი ვარადა,
ეგ სიმღერა გზას იპოვის -
სანთელ-საკმეველის გზასა.
ვარაიდა სი ვარადა,
ბნელიდან მოიწვეს მოხუცი მეხრე,
მოიზღაზნებიან ხარ-კამეჩნი, გადამწულ
რქებით, უღელშებმულნი.
ვარაიდა,
ზუზუნებს მეხრეს ხორხი ქარიშხალივით
ვარადას.

ჭაოზის პინადარ სულეზის პალადა

უცხო კაცის სუნი მდის ჩამოხეულ სხეულზე.
ეს უცხო კაცი შენი მსგავსია.
შემოვიტყუე, ამ ოთახში თითქმის სიკვდილი,
მაგრამ უშენოდ დაშინდა და ზურგი მაქცია.
ამდის სუნი და ამოყვება სულიც ამ სუნებს,
რადგან მეორე კაცი სულით გავს ჭაოზის ლანდს,
თითქოს შლამი გახრუკულა მზეზე პურივით და
ნემომპალებს კისერს მკიდებენ გირლიანდებად.
დღეს ღმერთი მოვკალ. დავემგვანე წინაპრებს, რადგან
სისხლი ერთი გვაქვს.
მერე რა, თუ დიდი ხანია,
ისინი ეშმას ჩამოუჯდნენ თავსასთუმალთან და
ლილიტების გასართობად დგამენ მასკარადს.

უსურვილობას
სარჩულივით დავუდებ ფილტვებს და
როგორც ფრთებს, შიგნით ჩავიზრდი -
სული სამშვიდელს დაახრჩობს და გარეთ გამოვა.
მკლავზე დაკიდულს დაგახვედრებ,
თუ გამომივილი -
ვერცერთი ორმო ვერ დამფარავს უჭირისუფლოდ,
სანამ არ მოხვალ,
ამ დაბლობისკენ სავალი გზები გაიყვება ძეძვით და
ეკლით,
ბავშვები შიშით დედის სიზმრებში
იხუჭებიან.

შენ კი რატომღაც, გონებიდან გადაგივარდა,
ოქროს ვაშლები ცხრა მთას იქით
დარგულ ხიდან ჩამოგეკრიფა,
გაღვიძებდი ღმერთს, რომელთანაც
გაგიშვი ნებით და
უფალი სულს ჩამიდგამდა.

„პოეზია და თარგმანი ერთიანი სივრცეა“

პოეტი, აღმოსავლეთმცოდნე, არაბისტი და ირანისტი — ასე შეიძლება მოკლედ მისი დახასიათება. დაახლოებით ისე უღერს, როგორც ფრაზა ლეონიდ გაიდაის ცნობილი ფილმიდან „სტუდენტი, სპორცმენი, კომკავშირელი,“ თუმცა, სპორცმენი და კომკავშირელი არასოდეს ყოფილა. სტუდენტი — გაციხარიათ. საკმაოდ სერიოზული განათლება მიიღო, თანაც ისეთ რთულ სფეროში, როგორც აღმოსავლური ენები და ლიტერატურა და დღეს ერთ-ერთი სერიოზული ფიგურაა ამ სამყაროში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მისთვის 2008 წელი გამოდგა, როდესაც „ყურანის“ ქართულ ენაზე თარგმანის, კომენტარებისა და შენიშვნებისათვის ირანის ისლამური რესპუბლიკის პრესტიჟული სახელმწიფო პრემია „ნლის ნიგნი“ მიიღო. ჯილდო თავად პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადიმ გადასცა. ამას მოჰყვა გასული წლის ლიტერატურული პრემია „საბა“ — საუკეთესო თარგმანისათვის.

მსგავსი ზენიტის შემდეგ შემოქმედებითი პაუზა დგება ხოლმე, თუმცა დადგენილი წესებით ცხოვრებას არ აპირებს და კვლავ შემოქმედებით ნებაშია. ახლახან დაასრულა მუშაობა ცნობილი ირანელი პოეტის, საადის „გოლესთანზე“. „მეორე სუნთქვა“ გაეხსნა საკუთარ პოეზიაშიც. უფრო დანერგვით ამ ყველაფერს თავად გიორგი ლობჯანიძისგან შეიტყობთ.

— „ყურანის“ გადმოტანა ჩვენს რეალობაში და ამ თარგმანისთვის მიღებული პრემია ძალზე მნიშვნელოვანი იყო ზოგადად ქართული კულტურული სივრცისათვის. რა გავლენა მოახდინა და შეიცვალა თუ არა ამის შემდეგ რამე შენს ცხოვრებაში?

— „ყურანზე“ 12 წლის განმავლობაში ვმუშაობდი და ამ პროცესში ძალიან დიდი გავლენა მოახდინა როგორც ჩემს შემოქმედებაზე, ასევე პიროვნული ორიენტაციების ფორმირებაზე. თუმცა იმხელა ენერჯია წაიღო, რომ ვგრძობობდი, როგორ დავიცვალე შინაგანად. ძალებს აღდგენას დიდი დრო დასჭირდა. ამ პერიოდში ჩემში მძაფრი შინაგანი ბრძოლა მიმდინარეობდა. შემოქმედებითი კმაყოფილების განცდას შემოქმედებითი სიცარიელის გრძობა ჩაენაცვლა; ფიქრი იმაზე, რაღა უნდა მეკეთებინა „ყურანის“ თარგმნის შემდეგ, რამაც, როგორც ავტორი, არასახარბილო ვითარებაში ჩამაყენა. ამას დაერთო ყოფითი პრობლემები გამოწვეული დეპრესია, რომელსაც ვერც ამ რაზმის ნიგნის თარგმნა უშველა რამე. ერთი სიტყვით, გაურკვეველ მდგომარეობაში ვიყავი. იმის ილუზია არასოდეს მქონია, რომ მიღებული პრემიის შემდეგ საქართველოში ცხოვრებას მოვიწყობდი, უბრალოდ, იმხელა სხვაობა იყო განუღებ სამუშაოსა და სამუშაო პირობებს შორის, რომ დეპრესია გარდაუვალი გახდა. სამწუხაროდ, ეს ჩვენი რეალობაა. თუმცა მთავარი მაინც მორალური მდგომარეობა გახლდათ. 12-წლიანმა შრომამ იმდენად გამოძვირდა, გადავწყვიტე, გარკვეული პერიოდი თარგმანისთვის ხელი აღარ მომეკიდებინა და მხოლოდ საკუთარ შემოქმედებაზე გადავრთულიყავი.

— თუმცა პრობა ვერ შეასრულე და შედეგად ქართველი მკითხველი ცნობილი ირანელი პოეტის, საადის „გოლესთან“ მიიღებს.

— ამ ნაწარმოების შესავალი სტუდენტობისას ვთარგმნე და მამინდელ „არილში“ გამოვაქვეყნე. საადის ეს თხზულება ძალიან მიყვარს და საღამოობით ხშირად ვკითხულობდი. სპარსულად იმდენად ლამაზია, რომ გადავწყვიტე, მოდი, ამასაც ვთარგმნი-მეთქი. სქელტანიანი ნიგნია და ერთი კი ვიფიქრე, ამხელა საქმეს „ყურანის“ შემდეგ მხოლოდ შლეგი თუ შეეჭიდებოდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც მთარგმნელის ყინვა გადაიწონა.

— „გოლესთანზე“ მუშაობა 2007 წლის ბოლოს დაიწყო. ამ ეტაპზე თარგმნა დასრულებული საქმე და ტექსტის დახვეწა მიმდინარეობს. ძალიან მიხარია, რომ ეს იქნება საადის ბრწყინვალე ნაწარმოების პირველი სრული თარგმანი ქართულ ენაზე. გასული საუკუნის შუა წლებში მისი ფრაგმენტები დავით კობიძემ და იუსტინე აბულაძემ გადმოაქართულეს, მოგვიანებით ცალკეული მონაკვეთები მაგალი თოდუამ და ნომადი ბართაიამ თარგმნეს. ამ ტექსტზე მუშაობას ბევრ სხვაგვარად ერთად ისიც ართულეს, რომ მთარგმნელი თანაბრად უნდა ფლობდეს არაბულს და სპარსულს. საადის ენა არაბიზმებითაა გაჯერებული. ხშირად არაბულად მთელი პასაჟები ჩართულია, რომელითა თარგმანს ირანისტს კომენტარების მიხედვით უწევს და დიდი ალბათობაა, ბევრი ნიუანსი გამოჩნდეს. პირადად ჩემთვის ეს ნიგნი ძალზე საინტერესო აღმოჩნდა. როგორც მკვლევარს და მთარგმნელს, უამრავი შენიშვნა გამოჩნდა, ახლებურად ნავიკითხე მთელი რიგი პასაჟები. ვაპირებ, ამ ყველაფერს თავი მოვუყარო და სპარსულად გამოვიყვანო, რადგან უშუალოდ ირანული კულტურისთვის იქნება მნიშვნელოვანი. ქართველ მკითხველს კი „გოლესთანის“ გაცნობის შესაძლებლობა წლის ბოლომდე მიეცემა. ვფიქრობ, ჩვენი საზოგადოება ამ ნაწარმოებს სათანადოდ მიიღებს. მართალია, ეს არ არის „ყურანი“, მაგრამ აღმოსავლური სამყაროს შეცნობისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ტექსტია. ძალიან მინდა, თარგმანთან ერთად ორიგინალიც იყოს ნარმოდგენილი, რათა სპარსული ენით დაინტერესებულ ადამიანებს დედანთან შედარების საშუალება მიეცეთ.

— ახლა შენს პოეზიაზე ვისაუბროთ. ზემოთ ახსენე, რომ „ყურანზე“ მუშაობის დასრულების შემდეგ გადაწყვიტე, საკუთარ შემოქმედებას მიბრუნებოდი. რამდენად შექცეული ეს და რა ეტაპი გაქვს ამჟამად?

— 2007 წლიდან დაიწყო ძალიან საინტერესო ეტაპი, რომელიც ახლაც გრძელდებ-

და. დიდი ხნის განმავლობაში იმდენად ვიყავი გადართული სხვების შემოქმედებაზე, თავად აღარ ველოდი, რომ საკუთარ ლექსებს ასე აქტიურად დავუბრუნდებოდი. სულ მეცინებოდა ადამიანებზე, რომლებიც ამბობდნენ, დღეში ოთხ-ხუთ ლექსს ვწერო. რატომღაც ამას არასერიოზულად აღვიქვამდი. თურმე, არასოდეს უნდა თქვა „არასოდეს“, რადგან სწორედ ასეთი რამ დამემართა. ჩემში თითქოს რაღაც ამოიფრქვა და ახლა მე ვწერ დღეში რამდენიმე ლექსს. თუმცა მაღლობა ღმერთს, საღ გონებაზე ვარ და ყველაფრის გამოქვეყნებას არ ვაპირებ.

— სხვათა შორის, შენი ბოლოდროინდელი ლექსები სრულიად განსხვავებულია წინა წლების შემოქმედებისგან. პირადად მე ეს უფრო მომწონს. განსაკუთრებით კი „არაბული მასწავლებელი“, „ბრბოს კაცი“ და „გული-თურინჯი“. მათში უფრო შემქმენებელი, განმჭვრეტი კაცის პოზიცია იგრძნობა.

— გეთანხმები, ამას თავადაც ვგრძობ. 2004 წელს, ვიდრე ჩემი ლექსები შედარებით სრული კრებული, „ბაბუნაწერების თათკული“ გამოვიქვეყნე, დიდხანს ვფიქრობდი, მჭირდებოდა თუ არა მისი გამოცემა, ზედმეტად ხომ არ ვახვედდი მკითხველს საკუთარ შემოქმედებას, თუმცა, აღმოჩნდა, რომ აუცილებელიც კი იყო. ამ კრებულმა ძველი ლექსებისგან გამათავისუფლა და ახალ ნაკადს მისცა გზა. ნამოკვდა რადიკალურად განსხვავებული თემატიკა, მეტრიკა, თითქმის ამ პერიოდის ლექსებს სრულიად სხვა ადამიანი წერს. არ ვიცი, კარგია ეს თუ ცუდი, თავად ვერ შევაფასებ, თუმცა, ჩემთვის ძველი ლექსებიც ძალზე მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, იმ კრებულში 12 წლის ბავშვის ნაწერებიც შევიდა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. დღეს მკითხველის წინაშე 35 წლის მამაკაცი დგას, რომელიც სრულიად განსხვავებულად აღიქვამს სამყაროს. ზოგადად, ლირებულელებისადმი ემოციური მიმართება არ შეცვლილა, თუმცა, ემოცია შიგნით ჩაბრუნდა და დღეს გარეგან ფაქტორებს ჩემთვის მხოლოდ გუბები ჩაგარდნილი კენჭის ეფექტი აქვს, წრეებს რომ აჩენს. ეს ყველაფერი ნაწერებსაც დაემატა. ვფიქრობ, ჩემი ლექსების ახალი ნიგნი, რომელსაც წლის ბოლომდე გამოვიყვან, მკითხველისთვის საინტერესო იქნება. მას „არაბულის მასწავლებელი“ ერქმევა, რადგან, ჩემი აზრით, ეს ბოლო პერიოდში დანერგილი ყველაზე მნიშვნელოვანი ლექსია.

— მართლაც საინტერესო ოპუსია ბევრი თვალსაზრისით, თითქოს აღმოსავლური სამყაროს გავლენაც იგრძნობა.

— ცხადია, აღმოსავლურმა პოეტიკამ ჩემზე გარკვეული გავლენა იქონია, თუმცა იქიდან რამის გამომდინარეობს ყოველთვის კატეგორიულად ვემიჯნებოდი. საერთოდ, სა-თარგმნ მასალას გამძაფრებელი პასუხისმგებლობით ვეკიდებდი. ხშირად მიუთქვამს, ისეთი ენებიდან ვთარგმნი, შემექლო მთელი პასაჟები ნამოკვდო, ვარაცინები მეკეთებინა და საკუთარი გვარით გამოიმეყვეყნებინა. ბევრი ვერაფერს მიხვდებოდა, მაგრამ, ერთი, რომ როგორც ავტორს, ეს არაფერში მჭირდება, მეორეც, რა პასუხი უნდა გავცე იმპიქვენად ამ პოეტებს? ჩემი თაობის ბევრი ავტორის ნაწერებში ხშირად ვერ გაიგებ, თარგმნის თუ თავისას წერს. ეს ცუდ ტონად და უგემოვნობად მიმაჩნია. ინტერნეტ-სივრცე გადავსებულია ჩემი თარგმანებით. ძალიან ხშირად პოსტავენ ფორუზ ფაროხზადესა და სოჰრაბ სეფეპურის ლექსებს, ისე, რომ მთარგმნელს არც ასახელებენ. ხანდახან ვბრაზდები, რადგან ეს არის დამოკიდებულება არა მხოლოდ ჩემი, არამედ, ზოგადად, ჩემი ტიპის შემოქმედების მიმართ, რომელიც ვიღაცამ ძალიან ადვილად მოიშორა თავიდან, როგორც ქონკურენტი პოეტი და ერთგვარად გააფრებულყო იმით, რომ მთარგმნელის ნიშა მიუჩინა. არადა, პოეზიის თარგმნა ძალზე რთული და მისტიკური პროცესია. ამ ყველაფერმა შენში უნდა გაიაროს და გულის ერთი ნაწილიდან რომ არაბულად ან სპარსულად შევა, მეორედან ქართულად გამოვიტყვებ.

— ისე, საინტერესოა, თავად საით მიგიწევს გული, ანუ, ვინ უფრო არის გიორგი ლობჯანიძე, პოეტი თუ მთარგმნელი?

— მე ასე არ დავყოფი. ჩემთვის პოეზია და თარგმანი ერთიანი სივრცეა, ყველაფერ-

ზე მაღლა კი ლიტერატურული ინტერესი დგას. მის გამო შემიძლია ყველაფერი დავთმო, ამიტომ არ ვფიქრობ, რომ თარგმანში მე, როგორც პოეტმა რაღაც დავკარგე. საბედნიეროდ, ლიტერატურა ისეთი სფეროა, შეიძლება შენი ნამუშევარი ასი წლის შემდეგ დაფასდეს. დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. კაცმა არ იცის, როგორ უყურებდნენ თანამედროვენი ივანე მაჩაბელს, დღეს კი მისი საქმიანობა მხოლოდ ილიასა და აკაკის ღვანლს შეიძლება შევადარო. ერთი სიტყვით, თარგმანიც და ლექსიც ჩემთვის ერთ სიბრტყეში განიხილება, მთავარია, ჩემი ნაწერი მუსტად გადმოსცემდეს იმას, რისი თქმაც მუსურს მკითხველისა და საკუთარი თავისთვის. პირველ რიგში საკუთარ თავს ვგულისხმობ. მკითხველი ცოტა ხნამალაი ნათქვამია, რადგან დღეს-დღეობით არც კი ვიცი, ვისთვის ვწერ. ადრე უფრო მყავდა ნარმოდგენილი ჩემი პოეზიის მკითხველი, ახლა ეს ცნება სრულიად ამორფული გახდა, რადგან აღარ ვიცი, ვინ კითხულობს და ვინც კითხულობს, რამდენად ადეკვატურად აღიქვამს ნაკითხულს. ეს უკანასკნელი კიდევ უფრო პრობლემატურად მეჩვენება.

— გეთანხმები, რადგან დღეს ფაქტობრივად, დაიკარგა ის ჯაჭვი, რასაც მკითხველისა და ავტორის ურთიერთობა შქვია. ერთი პერიოდში, განსაკუთრებით 6-7 წლის წინათ ეს პროცესი თითქოს გამოცოცხლდა. ამას ხელს უწყობდა „თეატრალური სარდაფის“ და ლიტერატურული კაფეების შესვენებები, თუმცა დღეს მუხტი ისევ მინულდა.

— სხვათა შორის, შესაძლოა ეს ფაქტი პირდაპირ უკავშირდებოდეს აგვისტოს ომს, რომელმაც ჩვენში ძალიან დიდი შინაგანი ნგრევა გამოიწვია. ამ მოვლენების შემდეგ პირველი ავრესია ნიგნების მიმართ გამოჩნდა. მთელი ცხოვრება ნიგნს შევხაროდი. სახლში ნიგნების გარდა არაფერი მაქვს და უცებ აღმოჩნდა, რომ ჩემი ბინა სარკოფაგია. ამ ომის შემდეგ ნიგნებმა ფუნქცია დაკარგა და გაუფასურდა, რადგან მათ ვერ შეძლეს სამყარო ცოტათი უკეთესად გაეხადათ, იმდენად მაინც, რომ ადამიანები განუკითხავად არ ხოცავდნენ ერთმანეთს. შესაძლოა, ალტრუსიტულად ვაზროვნებ, მაგრამ რეალურად მაშინ ასეთი გრძნობა დამეუფლა.

— მიუხედავად ამ ყველაფრისა, ლიტერატურა მაინც ვითარდება. განსაკუთრებით ეს თარგმანს ეხება. ბოლო წლებში ლიტერატურული კონკურსების ჩამონათვალში თარგმანებს სოლიდური ადგილი უჭირავს და ჟიურის წევრებსაც ყველაზე მეტად ამ ნომინაციაში უჭირთ არჩევანი.

— ძალიან კარგია, რომ წლიურ მონაგარში თარგმანი ჭარბობს, მაგრამ საქმის არის, რომ ეს ყველაფერი ძალზე უსისტიემოდ ხდება. თარგმანის ერთიანი ეროვნული კონცეფცია არ გვაქვს და არჩევანი ცალკეული მთარგმნელის გემოვნებასა და ძალისხმევაზე დამოკიდებულია. აუცილებელია ამ ყველაფრის კოორდინაცია. ძალიან კარგ საქმეს აკეთებს ფრანგული კულტურის ცენტრი, რომელმაც ფრანგული ლიტერატურის ბევრი სპეციალისტი არა მხოლოდ მორალურად, ფიზიკურადაც გადაარჩინა, ასევე, ბრიტანული კულტურის ცენტრი, მაგრამ ისინი ყველაფერს საკუთარი ინტერესების მიხედვით აფასებენ, რაც სრულიად ბუნებრივია. ითარგმნება ის, რაც სჭირდება ფრანგულ კულტურას საქართველოში და არა ქართულ კულტურას — ფრანგულისგან. ამიტომ აუცილებლად უნდა გვექონდეს მთარგმნელობითი ცენტრი, რომელიც უშუალოდ ჩვენს პრიორიტეტებს განსაზღვრავს. ადრე არსებობდა მთარგმნელობითი კოლეგია, რომელიც ამ სფეროს კოორდინაციას უწევდა და ერთ კალსაობში აქცევდა. მისი მიზანი იყო, ქართულ ენაზე ეთარგმნათ ყველა მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოები, რაც დაინერა ან იმ დროინდელ მსოფლიოში იწერებოდა. სხვათა შორის, ძალზე ნიშანდობლივია, რომ ე.წ. ეროვნულმა ძალებმა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პირველად სწორედ მთარგმნელობითი კოლეგიას უწევდა. მათ კარგად იცოდნენ, რაოდენ საშიშია უცხოური ენისა და ლიტერატურის სერიოზული სპეციალისტები. სწორედ ისინი ამკვიდრებენ ღირებულებებს საზოგადოებაში. თარგმანის ეროვნული ცენტრის



აღდგენა ჩემი ოცნებაა და თუ ოდესმე საზოგადოებრივ საქმიანობას მოვკიდებ ხელს, ამ იდეას აუცილებლად განვახორციელებ.

— შენ თარგმნე ძველი აღმოსავლელი პოეტები, თუ გაქვს ინფორმაცია, რა ხდება თანამედროვე აღმოსავლურ პოეზიაში?

— ძალიან მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობს. ბევრი ეგონა, რომ აღმოსავლური პოეზიის მთელი დიდება შუა საუკუნეებში დარჩა, რადგან ჩვენში არ ითარგმნებოდა ახალი სპარსული ლექსი. ჩემი თარგმანებით ქართველმა მკითხველმა ფორუზ ფაროხზადე და სოჰრაბ სეფეპური გაიცნო, თუმცა, არიან არანაკლებ მნიშვნელოვანი ირანელი პოეტები. მათ შორის, ახმად შამლუ, ახმად რეზა ახმადი და ბიჟან ჯალალი. მათი ლექსი იმთაა მნიშვნელოვანი, რომ სულ სხვა განზომილებიდან გესაუბრებიან, შუა საუკუნეების პოეზიისგან სრულიად განსხვავებულ პოეტურ ენაზე. ნიშანდობლივია ისიც, რომ ეს არ არის ვერძობრი წმინდა ევროპული და ამერიკული გაგებით. თანამედროვე სპარსული პოეზია განსაკუთრებული ფენომენია, რომელიც სპარსული კლასიკური ლექსის ნანგრევებზე აღმოცენდა და ისეთივე მშვენიერია, როგორც დანგრეულ ტაძარში ამოსული ბრონზის ხე. ნანგრევების ფონზე მისი სილამაზე კიდევ უფრო გამოკვეთილია და მთარგმნელმა უნდა მოახერხოს ამის ჩვენება. ვფიქრობ, ფორუზისა და სოჰრაბის შემთხვევაში მე ეს შევძელი. უახლოეს მომავალში ახალი სპარსული ლექსის კრებულის გამოცემა მინდა, სადაც თავს მოიყრის 15-მდე ძალიან საინტერესო თანამედროვე ირანელი პოეტი — XX საუკუნიდან დღემდე. სულ ბოლოს ვთარგმნი ჩემი თაობის ავტორები, რომლებიც მნიშვნელოვან სიტყვას ამბობენ სპარსულ პოეზიაში.

— ანუ, ტრადიცია გრძელდება. რის ხარჯზე ხდება ეს? როგორ მოახერხეს ირანელებმა გლობალიზაციის გავლენისგან თავის არიდება და საკუთარი თვითშეფასების შენარჩუნება?

— გლობალიზაციის გავლენა შეიძლება სასიკეთოდაც გამოიყენო. ირანში თარგმნიან ყველაფერს ღირებულს, რაც კი მსოფლიოში იწერება. ჩასვლისთანავე ვიცი ფიქრს მარსელ პრუსტის „დაკარგული დროის ძიებაში“. ეს არ არის მასობრივად პოპულარული ავტორი და თავად წარმოიდგინეთ, ამ ფონზე როგორი მწერლები ექნებათ ნათარგმნი, მათ შორის, ირანული სამყაროსთვის ისეთი მიუღებელი ნიგნებიც კი, როგორც ნაბოკოვის „ლოლიტა“. ამ თვალსაზრისით ისინი ლიბერალები არიან. მიჩინევეს, რომ ლიტერატურა ის სივრცეა, სადაც ყველაფერზე შეიძლება ლაპარაკი. ირანში ეცნობიან მსოფლიოს ლიტერატურულ სიახლეს და ცხადია, საკუთარ ტრადიციასაც ავითარებენ. ამაზე საზოგადოების მხრიდანაც არის დაკვეთა. სხვათა შორის, ძალიან მკითხველი პუბლიკაა. ამ მხრივ დაახლოებით ისეთი ვითარებაა, როგორც 70-80-იანი წლების საბჭოთა კავშირში — ყველა კითხულობს. შესაძლოა, ეს ჩაკეტული სისტემებისთვისაა დამახასიათებელი. პოეზიის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გამაძვირებელია, რადგან ეს მათ სისხლში უზით. ზოგადად, ირანელებს სრულიად განსხვავებული ღირებულებათა სისტემა აქვთ, რაც ყველაფრის მიმართ სიღრმისეულ დამოკიდებულებას გულისხმობს. სამწუხაროდ, ქართულ საზოგადოებაში მსგავსი მიმართებები ნაკლებად გვხვდება.

— და ბოლოს, ისევ პოეზიით დავასრულოთ. შენს ერთ ნერილს ვკითხულობდი, სადაც ნერ, პოეზია კედელზე შეყრილი ცერცვივით არისო. რატომ გაგიჩნდა ასეთი განცდა?

— ხანდახან მართლაც გიჩნდება მსგავსი დამოკიდებულება საკუთარი საქმის მიმართ. რასაკვირველია, ეს შედარება ანდაზიდან გამომდინარეობს. ამ შემთხვევაში, კედელი არის ყრუ რეალობა, რომლისთვისაც არაფერი იცვლება, რაც უნდა ლამაზად წერო. თუმცა, ერთი რასი: იმის გავალისწინებით, რამდენჯერ და რა ძალით შეაყრი ცერცვს, შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს კედელი დაინგრეს.

ესაუბრა ნანა კოპაიძე

აკითხვალი გურამ ნიბახაშვილი:

„მართალი გითხრათ, ყველაზე მეტად ქართული პროზა მაინტერესებს“



...ერთხელ თბილისის ძალიან ცნობილი ფოტოკრიტიკოსი, იენ ჯეფრი ესტუმრა, ფოტოხელოვნებაზე სამი ლექცია წაიკითხა. გურამ ნიბახაშვილის ნამუშევრების დათვალიერებისას, ცამეტამდე ფოტო ამოარჩია და ავტორს სთხოვა, ასლებს გადავიღებო. გურამმა, გაჩუქებთო, უპასუხა. მოგვიანებით, იენ ჯეფრიმ თითოეულ ფოტოსურათს საკუთარი კომენტარები დაურთო და გამოსცა წიგნად: „ფოტოგრაფიები: გურამ ნიბახაშვილის“. შესავალში - „მოვლენები და დაკვირვებები“ - ავტორი ქართველი ხელოვანის შემოქმედების ღრმა ანალიზს ვეთავაზობს: „...გურამ ნიბახაშვილი აკვირდება ყველაფერს, რაც მინის ზემოთ არის. მისთვის პეიზაჟი ის ადგილია, რომლის დანახვებაც შესაძლებელია და ფენებად ან განყოფილებებად განიხილება. ამ ადგილებში მოვლენები ვითარდება, თუმცა მათი ზუსტი აღწერა ჭირს. მისი ტაქტიკით, საგნები და მოვლენები თვალთახედვას ისეა მოფარებული, რომ თქვენში მათი ძიების ინტერესი აღძრას...“ თვითონაც ყოველთვის ინტერესით ეძებს რაღაც ახალს. შემოქმედებითი ნოვაციების, აღმოჩენების მოყვარეა, თამამ ნაბიჯებს დგამს. ძირითადად, სუბიექტურ ფოტოგრაფიას ქმნის, მისი ნამუშევრები ავტორის თვითგამოკვლევის, თემისადმი ინდივიდუალური, ღრმა მიდგომის შედეგია.

ლიტერატურა ძლიერ უყვარს. ხშირად კარგი წიგნი თუ ავტორი, შეიძლება ითქვას, მის შემოქმედებით წყაროდ იქცევა ხოლმე. ლიტერატურულ ტექსტებზე გატაცებით საუბრობს. გურამ ნიბახაშვილთან საუბარს, მაინც ფოტოგრაფიით ვიწყებ...

— ბატონო გურამ, თქვენ სხადასხვა მიმართულებისა თუ სტილის ფოტოებს იღებთ. მართალია, სუბიექტურ ფოტოგრაფიას ამჯობინებთ, მაგრამ, როგორც ამბობთ, ამას ფინანსურად ნაკლები ეფექტი მოაქვს, შემოსავლის თვალსაზრისით მომგებიანი არ არის, ამიტომ კომერციულ პროექტებსაც ახორციელებთ ხოლმე... ყველაზე მეტად რისი გადაღება გიყვარს?

— მე გარკვეული თემების ამოჩვენება მიყვარს. ჩემთვის ძალიან საინტერესოა, როცა რეალურ ფოტოგრაფიაში არარეალური აქცენტები იკვეთება ხოლმე. ერთ-ერთი პირველი სერია ჯეიმს ჯოისის „ულისეს“ თემაზე გაეკეთა. უფრო სწორად, ამ ნაწარმოების ქართულენოვანი ტექსტი შევესადაგე დოკუმენტურ ფოტოებს, რომელსაც თბილისში ვიღებდი. თავიდან, „ულისეს“ დაწყება ძალიან გამიჭირდა. საკმაოდ რთული და მძიმე ნაწარმოებია. საკუთარ თავს ვუთხარი: „მაინც უნდა წავიკითხო“. ნელა ვკითხულობდი. უკვე შვიდი-რვა ფურცლის მერე კარგად „წავიდა“, „გავიბი“. ძალიან საინტერესოა კომენტარები, რომელიც ტექსტს გასდევს. დოკუმენტურობის განცდა სწორედ კომენტარებმა ამოატივტივა ჩემში. ვხვდებოდი, ესა თუ ის ასოციაცია, ალუზია საიდან მოდიოდა. როგორ დავასრულე იმ წიგნის კითხვა აღარც მახსოვს. შემდეგ მივხვდი, „ულისეს“ კითხვის პერიოდში გადაღებული ფოტოები, რაღაცნაირად, სხვანაირი გამოდიოდა — უფრო მშრალი, ნაცრისფერი, თითქოს არაფრისმთქმელიც, მაგრამ უფრო საინტერესო. ვიფიქრე, ალბათ ეს წიგნის ბრალია-თქო და გადავწყვიტე „ულისეს“ ტექსტებისათვის ჩემი ფოტოსურათები მიმესადაგებინა. ერთმანეთის პარალელური, ორი რეალობა გამოვიდა. „ულისესში“ მოქმედება ხომ ქალაქ დუბლინში ხდება. პერსონაჟები ავტორის ნაცნობ-მეგობრები, მეზობლები არიან. მეც ჩემს მეგობრებს, ახლობლებს ვიღებდი. თუმცა, ამ შემთხვევაში, მოქმედების ადგილი თბილისი იყო. კითხვისას მახსენდებოდა, რომ მაგალითად, ჩემი „დათო ჩიხლაძე“, ჯოისის ერთ-ერთი პერსონაჟს გავდა, მისი ანალო-



გი იყო. დაახლოებით ასი წლის წინ დანერგილი ტექსტები საინტერესოდ „დაედო“ ფოტო-პერსონაჟებს. ამ სერიაზე დაახლოებით 1989-1990 წლებში ვიმუშავე. ჰო, თანაც, „ულისესში“ ხომ ბევრი რამ ოდისევსიგანაა ნამოღებული. სამი სხვადასხვა წყაროდან აღებული თუ მოპარული რაღაცეები ერთმანეთთან საინტერესოდ წავიდება.

— რაც თქვენ მიაბნებთ, მგონი, მოპარვას არ უნდა ნიშნავდეს. ავტორები ერთმანეთის შემოქმედებით საზრდოობენ. განა ეს პარავა?

— მოპარვას, აბა რა არის? ოღონდ - კარგი გაგებით. მე მქონდა ასეთი სერია „ვიპარავთ მაგრიტს“. მაგრიტი ბელგიელი მხატვარია. მისი ნამუშევრების ასლებს ვაკეთებდი და შემდეგ სურათებს ვუღებდი.

— მეორე სერია, რომელზეც 1992-1993 წლებში იმუშავეთ, ისევ ლიტერატურული თემაზეა შექმნილი. „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“, ისე როგორც „ულისეს“, თქვენი საყვარელი ნაწარმოებია?



— „ალისა“ ძალიან მიყვარს. ის უცნაური ნაწარმოებია. თვით ლუის ქეროლი იყო ძალიან უცნაური და საინტერესო ადამიანი. ის ვიქტორიანულ ეპოქაში ცხოვრობდა, მათემატიკოსი გახლდათ, ამავე დროს ძალიან მაგარი ფოტოგრაფი იყო. უამრავი ფოტოპორტრეტი აქვს შექმნილი ალისა ლიდელისა, ვისაც ამ ზღაპრებს უწერდა. თუმცა, რა ზღაპარი! იქ ისეთი ტექსტებია... „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ ქართულად წავიკითხე. ძალიან კარგი თარგმანია, გია გოკიელმა და მარინა ვაშაყმაძემ შეასრულეს. (სამწუხაროდ, წიგნებს მხოლოდ ქართულად და რუსულად ვკითხულობ). მაშინ, საბჭოთა წარმოების ფოტო-აპარატი მქონდა, იაფფასიანი „აგატი“. სამოცდათორმეტ კადრს იღებდა. თან, შეგეძლო ორი ფოტო ერთად დაგებოდა - „აგატი“, ნახევარ-ნახევარი კადრი გამოდიოდა და გამჟღავნებისას, ორი ნახევარკადრი ერთ სურათად იბეჭდებოდა. ერთ სურათს თბილისში თუ გადავიღებდი, მეორეს კი, დაეუშვავთ, ბათუმში, გამჟღავნებისას, გვერდიგვერდ მოხვედრილი კადრები აბსურდულ სურათს ქმნიდა. ამ უცნაურმა, თითქოს არარეალურმა ფოტოებმა მაფიქრებინა, „ალისას“ ტექსტების მიხედვით ახალი სერია შემიქმნა. ამისთვის, დაახლოებით, თხმომოცდაათი ნამუშევარი გამოვიყენე. 1997 წელს, ნიუ-იორკში, „ალისას“ სერიის გამოფენა გაიმართა. ამერიკაში, ეს ჩემი პირველი პერსონალური გამოფენა იყო. თუ გავითვალისწინებთ იქაურ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებს, ფოტოკრიტიკოსთა შეფასებებს, გაყიდვის მაჩვენებელს, შეიძლება ითქვას, რომ ეს პროექტი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა.

აი, ასეთია ისტორია სერიებისა, რომელიც ლიტერატურული ტექსტების მიხედვით თუ მასთან შეთავსებით შეიქმნა.

— მაშ, მაღალი რანგის მხატვრული ლიტერატურა, ისე როგორც მხატვრობა, მუსიკა და ასე შემდეგ, თქვენი შემოქმედების წყაროდ შეიძლება იქცეს?

— რა თქმა უნდა. თუმცა, ლიტერატურა, მაინც უმთავრესი წყაროა ჩემთვის. ხშირად უთქვამთ, ფოტოგრაფია ახლოსაა კინოხელოვნებასთან, რადგან ორივე შემთხვევაში, გამოსახულება ფირზე აღიბეჭდებაო. სხვათა ვარაუდით კი, ფოტოგრაფია ფერწერას, ან სხვა გამომსახველობით საშუალებებს უფრო ენათესავება. ჩემი აზრით, ის ყველაზე ახლო ლიტერატურასთანაა. ვფიქრობ, ლიტერატურა გაცილებით მდიდარი მასალაა ფოტოგრაფიისთვის. ის სტიმულს მძლევს, რომ ლიტერატურული თემები ფოტოებად, გამოსახულებებად ვაქციო, ვიზუალური ხაზები შევიქმნა. მასალად მხატვრობისა თუ კინოს გამოყენების შემთხვევაში, შეიძლება მიმსგავსებასთან, ან სულაც პლაგიატობასთან გვკონდავს საქმე. ლიტერატურით კი საზრდოობ, მისი ტექსტები ფართო ასპარეზს გაძლევს მუშაობისთვის.

— ცოტა ხნის წინ, მხატვარმა რუსუდან ფეტვიანამ, ლიტერატურაზე საუბრისას აღნიშნა, რომ ნახატი ლიტერატურულ ნაწარმოებს გავს. მასაც

აქვს დასაწყისი, დასასრული, სიუჟეტი იქაც ვითარდება... თქვენი აზრით, ფოტოსურათსა და ლიტერატურულ ტექსტს შორისაც არის მსგავსება?

— მსგავსებაზე ვერაფერს გეტყვი. მათ, შესაძლოა, საერთო ამოცანები ჰქონდეთ. გარდა ამისა, ისინი გარკვეულწილად, ერთი საწყისიდან ამოდიან, ორივე ცხოვრებას აფიქსირებს.

ბოლო დროს ძალიან მომეწონა ალბერტო მორავია. მასზე გადავერთე. მომეჩვენა, რომ მისი პროზა ძალიან ფოტოგრაფიულია. შემდეგ მივხვდი: ნამდვილად ასე იქნებოდა, რადგან იტალიური ნეორეალისტური ფილმების უმეტესობა, სწორედ ამ ავტორის მოთხრობების მიხედვითაა გადაღებული. თვითონ ეს ფილმებიც საკმაოდ ფოტოგრაფიულია. საერთოდ, იტალიური ნეორეალიზმი — ეს იქნება კინო, ალბერტო მორავიას მწერლობა თუ რენატო გუტუზოს მხატვრობა — ძალიან ახლოს დგას ფოტოგრაფიასთან. ეს არის ამბის მოყოლის, რეალობის აღწერის სხვადასხვა ფორმა. მწერლობაც, კინემატოგრაფიც, ფოტოგრაფიაც ცხოვრებას ასახავს. და რადგან სინამდვილე ერთია, ისინი გვანან ერთმანეთს.

— რა პროფესიული განათლება გაქვთ?

— პროფესიით ქიმიკოსი ვარ. შესაძლოა იფიქროთ: „ქიმიკოსი ვარ. შესაძლოა კავშირშია ერთმანეთთან?“ საერთოდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები იკვლევს და აღწერს რეალობას. ეს ორი დარგი, სწორედ ამით ეხმიანება ერთმანეთს. თანამედროვე ეპოქაში, ხელოვნება საკმაოდ დაუახლოვდა მეცნიერებას. არიან ავტორები, რომლებიც ცდილობენ სახელოვნებო ძიებებით მეცნიერული გზებით განახორციელონ და ამას ახერხებენ კიდევ. ხშირად, ძალიან საინტერესო და შთამბეჭდავი გადაკვეთების მომსწრენი ვხვდებით. სამი წლის წინ, ვენეციის ბიენალეზე, ლიტვის პავილიონში (თუ არ ვცდები), მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი გახლდათ ვიზუალურ სანახაობად ქცეული სამეცნიერო კვლევა — რაღაც ობიექტი სითხეზე იყო ორიენტირებული, სითხედან არეკლილი გამოსახულებები ისეთ შეგრძნებით ეფექტებს, ისეთ განწყობას ქმნიდა, იმგვარ ემოციებს გიღვიძებდა, ბევრი ფოტოსურათი რომ ვერ „შეძლებს“. ეს ოპტიკისა და ხელოვნების ზღვარზე შექმნილი ნამუშევარი იყო. დღეს, პროფესიებს შორის საზღვრები სულ უფრო იშლება, ბევრი განსხვავებული სფერო უახლოვდება ერთმანეთს, მათ შორის ხელოვნება და მეცნიერება...

— ისევ ლიტერატურას დაუბრუნდეთ. რამდენადაც ვიცით, არაერთი თანამედროვე ქართველი ავტორის წიგნი გაქვთ გაფორმებული...

— ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ქართველ მწერლებთან ურთიერთობა. ბევრ საინტერესო ავტორს შევხვედრივარ. პირველი წიგნი, რომელიც

გავაფორმე, ზურაბ ქარუმიძის „ოპერა“ გახლდათ. მართალია, მანამდე გრაფიკულ დიზაინზე ვმუშაობდი, სხვადასხვა პერიოდულ ჟურნალებს ვაფორმებდი, მათ დიზაინს ვქმნიდი, მაგრამ წიგნი, ერთი ავტორის ნამუშევარი – ჩემთვის ახალი ეტაპი იყო. მიმანია, რომ ზურაბ ქარუმიძე თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მწერალია. ის თვითონ დამოკავშირდა და შემომთავაზა მისი ტექსტი ფოტოებით გამეფორმებინა... გარეკანზეც ჩემი ფოტო დაიდო. წიგნის დიზაინზე კი, თამაზ ვარვარიძემ იმუშავა. „ოპერა“ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ გამოსცა. შემდეგ, ზურაბმა დაწერა სქელტანიანი რომანი „ღვინომუქი ზღვა“, რომელიც „ულისეს“ და „ალისას“ მსგავსად, ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ნაწარმოებია. (ის ჩემი გაფორმებული არ არის). მგონია, რომ ქარუმიძის პროზაც ძალიან რეალისტურია. თუმცა, რაღაც დეტალები ფანტასტიკისკენაც კი მიდის. თუ ამოიცნობ საიდანაა ისინი აღებული, მიხვდები რომ ძალიან საინტერესო რეალიზმთან გაქვს საქმე. იქ არის ერთი ადგილი: მოქმედება ვითარდება აბანო-თუბანში, სადაც ადრე, საუნა „პოსეიდონი“ არსებობდა. ავტორი საუნის პრეზენტაციას აღწერს. ძალიან არარეალისტური აღწერაა, მაგრამ ისეა მოწოდებული, რომ ხვდები, ეს ყველაფერი რეალურად მოხდა. სახელები და გვარები მითითებული, ცხადია, არ არის, მაგრამ პერსონაჟებს შორის ერთი ჩემი მეგობარი ამოვიცანი. მაგრამ ვიცინე. შემდეგ, ზურაბმა გამოსცა „თხა და გიგო“, რომლის გარეკანზეცა და წიგნის დიზაინზეც მე ვიმუშავე.

—სხვა ავტორებთანაც ასე აქტიურად თანამშრომლობთ?

— ახლა, მაგალითად, გამოსაცემად მზადდება შოთა იათაშვილის კრიტიკული წერილები, რომლის გარეკანზეც ვმუშაობ. ცოტა ხნის წინ, ზურაბ რთველიაშვილის მორიგი წიგნი გამოვიდა, მისი გარეკანის დიზაინიც ჩემი შესრულებულია. დიზაინს ყოველთვის ჩემს ვაჟთან, გიგასთან ერთად ვქმნი, ის კომპიუტერული გრაფიკის სპეციალისტია. სხვადასხვა დროს ერთობლივად ვიმუშავეთ, ასევე, ირაკლი კაკაბაძის, ირაკლი ჯავახიძის წიგნების დიზაინზე. გაფორმებული მაქვს დათო ბარბაქაძის (ჯერ კიდევ მაშინ, თვითგამოცემები რომ არსებობდა), დათო მალრადის, მერაბ ლანდის წიგნები. ვიმუშავე ნაწარმოებზე სახელწოდებით „იხვის ტოლმა“, რომლის ავტორები ბესო ხვედელიძე და მაკა მიქელაძე არიან. ბესოს ტექსტში ფსიქიურად დაავადებული ადამიანის ჩანაწერებია. ბესოს სურვილი ჰქონდა, ჩანაწერები ილუსტრირებული ყოფილიყო, რათა მკითხველს პერსონაჟი რეალურად აღეჭვავა. ტექსტიდან გამომდინარე, მისი დასურათება ალბათ შეუძლებელი იქნებოდა. ბესოს ვუთხარი, ფოტოებს გადა-

ვათვალიერებ, ამოვარჩიოთ, ილუსტრაციად რომელი გამოდგება-თქო. თან, შეეთავაზე, ფოტო-სურათები „ჩანაწერებს“ ტესტირებთ გაყოლოდა, მასზე მიბმული ყოფილიყო და იმ შემთხვევაში თუ გვერდი ვერ დაიტევდა, ფოტოს დარჩენილი ნაწილი შემდეგ გვერდზე გადაგვეტანა. ასეც მოვიქცით. უცნაური რამ გამოვიდა.

ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის ანა კორძაია-სამადაშვილთან თანამშრომლობა. მან თარგმნა ელფრიდე იელინეკის „საყვარლები“. ეს მოხდა ხუთი წლით ადრე, სანამ ამ ავტორს ნობელის პრემიას მიანიჭებდნენ. ანამ წიგნის ილუსტრაციებსა და გარეკანზე მუშაობა შემომთავაზა. იმ პერიოდში, ელფრიდე იელინეკის შემოქმედებას არ ვიცნობდი. ანას თარგმანის კითხვას შევუდექი, ავტორითაღიან დავინტერესდი. მიხვდი, რომ ის ქალი ცოტა ვერ არის, ოღონდ – კარგი გაგებით. შემდეგ მისი სხვა წიგნებიც შევიძინე, რუსულენოვანი გამოცემები იყო. მოგვიანებით, ერთ-ერთი ნაწარმოების - „პიანისტი ქალის“ - ეკრანიზაციაც ვიხილე. მოკლედ, „საყვარლებზე“ ვიმუშავე. დაახლოებით, ათამდე ილუსტრაცია და გარეკანი გავაკეთე. წიგნის დაბეჭდვა მაშინ ვერ მოხერხდა, ის

ხშირად ვერ ვკითხულობ. თუმცა, როცა ამა თუ იმ სამუშაოს გამო დამჭირდება ხოლმე, სიამოვნებით ვუღრმავდები ადგილებს კლასიკური ლიტერატურიდან.

ჯავახიშვილის პროზა ძალიან მიყვარს. უფრო იქით თუ გადავინვით – ვაჟა ფშაველა. თუმცა ამაზე უხერხულიცაა საუბარი. მიყვარს დავით გურამიშვილი, მიყვარს ბესიკის „ტანო ტატანო“. ხშირად ამბობენ, ქართველებისთვის, ქართული კულტურისთვის ეროტიკა არატრადიციული და არამნიშვნელოვანი თემა არისო. არადა, „ვეფხისტყაოსნიდან“ მოყოლებული, შესაძლოა უფრო ადრეული პერიოდებიდანაც, (სამწუხაროდ, ძველ ტექსტებს კარგად არ ვიცნობ), ეს თემა ლიტერატურაში მუდმივად იკვეთებოდა. „ტანო ტატანოც“ ეროტიკული ლექსია...

— ფოტო ბეჭედი მწერლისთვის გადაგიღიათ. მათი პორტრეტების შექმნა, ალბათ, ძალიან საინტერესოა...

— როცა ბატონი ოთარ ჭილაძე გარდაიცვალა, თქვენი გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა ფოტო, რომელიც მწერალს მე გადავუღე. იმ სურათის ისტორიას გაიმბობთ: ერთხელ გურამ თიკანაძის ფოტოალბომს ვათვალიერებდი და გადავანყდი



შარშან გამოვიდა, ილუსტრაციების გარეშე, თუმცა გარეკანი იგივე დარჩა. მიხარია, რომ ამ გამოცემაზეც ჩემს შვილთან ერთად ვმუშაობდი. „საყვარლების“ გარეკანზე, ფოტო და ნახატი ერთადაა გამოყენებული, საინტერესო სინთეზი გამოვიდა.

— როგორც ფოტოგრაფი, მხატვარი თუ დიზაინერი ქართველი ავტორების წაწერებს კარგად იცნობთ. საინტერესოა, როგორც მკითხველს, თანამედროვე ქართული პროზა თუ მოგწონთ?

— თანამედროვე ქართული პროზა ძალიან საინტერესოა. იგი ასახავს იმ სინამდვილეს, რომელიც ცვლობდა. გინდა თუ არა, ის რაც დღეს იწერება, რეალობიდანაა ნასაზრდოები. მაინტერესებს, სხვა ადამიანი, ავტორი როგორ უყურებს, როგორ ხედავს იმ გარემოს, რომელიც მე ვცხოვრობ. თითოეული ადამიანის პრიზმიდან რეალობა სხვადასხვაგვარად აღიქმება, ასე არ არის? ისინი ერთსადაიმავს განსხვავებულად ხედავენ. ამიტომ ნებისმიერი თანამედროვე ავტორი საინტერესოა ჩემთვის და ვცდილობ, როგორც კი წიგნი გამოვა, შევიძინო. ზოგჯერ, ახალ გამოცემას ავტორები მჩუქნიან. ხოლო, როცა წიგნზე მეც ვმუშაობ, ნაწარმოებს მის დაბეჭდვამდე ვკითხულობ... ასე რომ, მეტ-ნაკლებად თვალს ვადევნებ.

მართალი გითხრათ, ყველაზე მეტად, სწორედ თანამედროვე ქართული პროზა მაინტერესებს. თანამედროვე ავტორები ჩემი მეგობრები, ახლობლები არიან, მათ მიერ შექმნილ პროდუქციაში ყველაზე უკეთ ჩანს, თუ რას ფიქრობენ ისინი, რას აქცევენ ყურადღებას, რა დამოკიდებულებები აქვთ... ავტორებში ვგულისხმობ მწერლებს, მხატვრებს, კრიტიკოსებს და ასე შემდეგ.

— საუბრის დასაწყისში მიხილ ჯავახიშვილი ახსენეთ...

— სამწუხაროდ, ქართულ კლასიკას

მისი ცხოვრება.

— მითხარით, რომ წიგნებს, გარდა მშობლიური ენისა, რუსულადაც კითხულობთ. ხარისხობრივად, თანამედროვე ქართული თარგმანი, ხშირ შემთხვევაში, ანალოგიურ რუსულენოვან გამოცემებს ჯობს კიდევ...

— იმის გამო, რომ უცხოურ ლიტერატურას ორიგინალში ვერ ვკითხულობ, დედანში რა წერია, რა ვიცი? ფაქტიურად, ჩემი პირველწყარო თარგმანია. ძალიან მიყვარს მაქვს ფრიში. მისი რომანებიდან, სულ ორი მაქვს წაკითხული. თარგმანი, ორივე შემთხვევაში, დალი ფანჯიკიძეს ეკუთვნის. ვთვლი, რომ ფრიში ძალიან მაგარი მწერალია.

თარგმანს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რაც უნდა დიდი მწერალი იყოს, თუ ცუდი ხარისხის თარგმანია, შეიძლება თვითონ ავტორი არ მოგეწონოს და პირიქით - თუ ქართულენოვანი ტექსტი კარგია, მაშინ ავტორის სხვა ნაწარმოებების მოძიებას იწყებ... ვფიქრობ, ჯოისის „ულისეს“ თარგმანის ბრწყინვალე ნიმუშია. ავტორმა ჩემზე იმდენად იმოქმედა, რომ შევიცარიანი ყოფნისას, ქალაქ ბაზელ-იდან ციურიხში საგანგებოდ ჩავედი, რომ მისი საფლავი მენახა. შევიცარიანი მცხოვრებ ჩემ მწერალს, ხოდოჟილოვს ვთხოვე, წავიდეთ-თქო. გაუკვირდა, 1969 წლიდან აქ ვცხოვრობ და ჯოისის საფლავის მონახულება აზრადაც არ მომსვლიაო. მისი მანქანით წავედი. საოცარი სასაფლაოა.

— ადამიანები, რომლებსაც ლიტერატურა უყვართ, ჩვეულებრივ, ამბობენ კარგი მკითხველები არ ვართო...

— მართლაც არ ვარ კარგი მკითხველი. ჯერ ერთი, ძალიან ნელა ვკითხულობ, საშუალო მოცულობის წიგნს ერთი თვე ვანდომებ. დრო ცოტაა, საქმე, პრობლემა კი – ბევრი. არ მაქვს საშუალება მხოლოდ წიგნზე ვიყო გადართული. თუმცა ბოლო დროს, კითხვაში ავტობუსით მგზავრობა მეხმარება. ჩემი სახლიდან სტუდიაში მისვლას 35-40 წუთს ვანდომებ. ავტობუსი დილაობით ცარიელია ხოლმე. გადავემო წიგნს და მთელი გზა ვკითხულობ. ძალიან ნაყოფიერი წუთებია. დასვენებულ გონებაზე კითხვა კარგია. იმ გურმანებს ვგავარ, სპეციფიკური გემოს მქონე კერძებზე რომ „კაიფობენ“. ახლა, ასეთი შეგრძნება ალბერტო მორავიაზე მაქვს. თუმცა, მისი კითხვა დღეს არ დამინყია, ის ყოველთვის მიყვარდა. ქართულად მორავიას სამი წიგნია გამოსული - „ამ სახლში მოკლეს ადამიანი“, „ჩოჩარა“ და „რომაული მოთხრობები“. ახლა, მის „ამორალურ მოთხრობებს“ ვკითხულობ. თუმცა, მისი ტექსტები ამორალური კი არა, ზემორალურია. ერთ-ერთ მოთხრობაში, რომელიც ჭიანჭველებზეა, ნეიტრონული ბომბის შექმნის ისტორიულ პერიოდს აღწერს. მოთხრობის გმირი გაზეთის ამონარიდს კითხულობს. იქ წერია, რომ ნეიტრონული ბომბი სპეციფიკური იარაღია, ის მხოლოდ ადამიანებს ანადგურებს, (განსხვავებით ატომურისგან, რომელიც განურჩევლად ყველაფერს სპობს). შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის პოლიტიკურ დაძაბულობაზე, ცივ ომზე საუბრობს. კითხვისას, ის დრო გამახსენდა, ორ ქვეყანას შორის პირველობისთვის ბრძოლა და ძიძგილაობა რომ იყო. ვიფიქრე, ახლაც თავიდან იწყება-მეთქი ყველაფერი. ეს ძალიან სამწუხარო რეალობაა. ვამბობთ, შუა საუკუნეები ხომ არ არის, რაღა დროს ომი და იარაღიაო, მაგრამ მგონი, ახლა უარესი დროა. მომეწონა ის, რომ მორავია იმდროინდელ რეალობაზე წერისას, თვითონაც წუხდა... როგორც გითხარით, მოთხრობა ჭიანჭველებზეა - მთავარი გმირი აუროზო-ლით ებრძვის მათ, რადგან ისინი შაქარს უნადგურებენ. ტექსტში ასეთი შედარებაა – ადამიანებიც ჭიანჭველებივით არიან, ომებს შეუძლია ერთიანად გაანადგუროს უამრავი „ჭიანჭველა“, უამრავი ადამიანი...

ესაუბრა თამარ ქურული



ლებს ჯიბებზე, რამე ხომ არ დავკარგეო, ისე სასაცილოდ და ბუნებრივად, რომ ოლივერს სიცოცხლისაგან ცრემლები ნამოსცივებდა. მთელი ამ დროის განმავლობაში ორი ბიჭი ახლოს მიჰყვებოდა და რამდენჯერაც მობრუნდებოდა, ისე მარჯვედ ემალებოდა, რომ შეუძლებელი იყო მათ მოძრაობაზე თვალის მიდევნება. ბოლოს დოჯერი ფეხდაფეხ აედევნა, შემთხვევით ფეხსაცმელზე დაეხიჯა, როცა ჩარლი ბეითში უკნიდან დაეჯახა და სწორედ იმ წუთში, განსაცვიფრებელი სისწრაფით ამოართვეს სათუთუნე, საფულე, ძეგკვიანი საათი, პერანგის ქინძისთავი, ცხვირსახოცი და სათვალის ბუდეც კი. თუ მოხუცი ჯენტლმენი რომელიმე ჯიბეში ხელს იგრძნობდა, წამოიყვირებდა, ამა და ამ ჯიბეში ხართ ჩამძვრალეობი; მერე თამაში თავიდან იწყებოდა.

კარგა ხანს ითამაშეს, მერე ორმა ახალგაზრდა ლედიმ შემოიარა მოხუცი ჯენტლმენის სახანავად; ერთს ბეტი ერქვა, მეორეს — ნესი. ორივეს ხშირი თმა ჰქონდა, თუმცა დავარცხნა არ აწყენდათ, ვერც ფეხსაცმელებისა და წინდების სისუფთავით დაიკვირებოდნენ. ლამაზები არ ეთქმოდათ, მაგრამ კარგად იყვნენ აღაფლავებულნი და ჯანსაღი, ხალისიანი გარეგნობა ჰქონდათ. თავისუფლად და უშუალოდ იქცეოდნენ, ოლივერმა იფიქრა, ნამდვილად ძალიან კარგი გოგონები არიანო. ეჭვი არ არის, ასეც იყო.

სტუმრები დიდხანს გაჩერდნენ. რაკილა ახალგაზრდა ქალბატონებიდან ერთ-ერთმა დაიჩივლა, ისე ამიტანა სიცვიც, რომ შიგნით ყველაფერი მიკანკალესო, მასპინძლებმა სპირტიანი სასმელი გამოიტანეს; საუბარმაც ძალიან მხიარული და სასარგებლო ხასიათი მიიღო. ბოლოს ჩარლზ ბეითზმა აზრი გამოთქვა, დროა, გავბაკუნდეთო. ოლივერმა ივარაუდა, ეს ალბათ უხეშად ლაპარაკისას გარეთ გასვლას ნიშნავსო; რადგან ამ სიტყვების შემდეგ დოჯერი, ჩარლი, და ორი ახალგაზრდა ლედი წამოიშალნენ და ერთად გავიდნენ, გულკეთილმა ბებერმა ებრაელმა კი თავაზიანად მოამარაგათ სახარჯო ფულით.

— აბა, ჩემო კარგო, — თქვა ფეიჯინმა, — რა სჯობს ასე ცხოვრებას, არა? მთელი დღით გავიდნენ.

— სამუშაო მოითავს, სერ? — იკითხა ოლივერმა.

— დიახ, — მიუგო ებრაელმა, — თუ მოულოდნელად არ გადაწყვიტა რამეს; საქმეს თუ გადაეყრებინა, ხელიდან არ უნდა გაუშვან. გაანჩია. ეგენი შენთვის სამაგალითოები უნდა გახდნენ, ჩემო კარგო, სამაგალითოები. — და ცეცხლის საჩხრეკი ღუმელზე დააკანკუნა, თავისი სიტყვების განსამტკიცებლად; — ყველაფერი გააკეთე, რასაც გიბრძანებენ, ყველა საქმეში მათ რჩევას დაჰყევი — განსაკუთრებით, დოჯერისას, ჩემო კარგო. ეგ დიდი კაცი გახდებდა და შენც ბედსა გწვევს, თუკი მიბაძავ. ისე, ჯობიდან ცხვირსახოცი ხომ არა მაქვს ამოჩრდილი, ჩემო კარგო? — თქვა ებრაელმა და მოკლე ნაბიჯებით შემოუარა ოთახს.

— დიახ, სერ, — თქვა ოლივერმა. — აბა, სცადე, თუ შესძლებ, ისე ამომიღო, რომ ვერ გავიგო: ხომ ნახე, ისინი როგორ აკეთებდნენ, ამ დღით რომ ვთამამობდით.

ოლივერმა ცალი ხელით ჯიბის ძირი დაიკავა, როგორც დოჯერს ეკავა, და მეორეთი მსუბუქად ამოაძვრინა ცხვირსახოცი.

— ამოიღე? — წამოიძახა ებრაელმა. — აი, ინებეთ, სერ, — უთხრა ოლივერმა და ხელი გაუწოდა.

— ჭკვიანი ბიჭი ხარ, ჩემო კარგო, — თქვა ხუმარა მოხუცმა ჯენტლმენმა, და მონონების ნიშნად ოლივერს თავზე ხელი გადაუსვა, — შენისთანა მკვირცხლი ყმანვილი ჩემს დღეში არ მინახავს. აი, შენ შილინგი. თუ ასე გააგრძელებ, ამ დროის უდიდესი კაცი დადგები. ახლა კი მოდი, გაჩვენებ, ცხვირსახოცებს ასოები როგორ უნდა მოარღვიო.

ოლივერმა იფიქრა, ნეტავ თამაშისას მოხუცი ჯენტლმენის ჯიბიდან ცხვირსახოცის ამოღება რა შუაშია დიდაცობასთანო. მაგრამ ჩათვალა, ებრაელი ჩემზე ბევრად უფროსია და ამან უკეთ იცისო, უდრტინველად გაჰყვა მაგიდისკენ და ამაღლე ღრმად ჩაეფლო თავის ახალ საქმეში.

თავი X

ოლივერი უკეთ ენოზა თავისი ახალი ამხანაგების ხასიათებს; და საკმაოდ ძვირად ყიდულობს გამოცდილებას. მოკლე, ამაგრამ ძალიან მინიშნული თავი აისტორიზი

ოლივერმა კიდევ მრავალი დღე გაატარა ებრაელის ოთახში, უამრავი ცხვირსახოცი მოიტანეს და ასოებს არღვევდა, ხანდახან უკვე აღწერილი თამაში მონაწილეობდა: ორი ბიჭი და ებრაელი ყოველ დღით თამაშობდნენ. სულ უფრო და უფრო ენატრებოდა სუფთა ჰაერი, და შემთხვევას აღარ უშვებდა, რომ მოხუცი ჯენტლმენს არ შეხვეწნოდა, ამათანებოდა მეც გამიშვით გარეთ სამუშაოდ.

ოლივერს კიდევ იმიტომ მისდიოდა სული სამუშაოში მონაწილეობაზე, რომ მოხუცი ჯენტლმენის სიმკაცრეს მაღალი ზნეობრიობით ხსნიდა. როცა დოჯერი ან ჩარლი ლამით ხელცარიელები მოდიოდნენ სახლში, ის ვრცლად, დიდი მგზნებარებით საუბრობდა უქნარა და ზარმაცი ცხოვრების სიდუხჭირეზე; აიძულებდა, შეეგნოთ აქტიური ცხოვრების აუცილებლობა, და უფახმოდ ისტუმრებდა დასასძინებლად. ერთხელ ისე შეტოპა, რომ ორივე კიბიდან დააგორა, თუმცა ეს უკვე მეტისმეტი მოუვიდა.

ბოლოს, ერთ დღეს, ოლივერმა როგორც იქნა, მიიღო ნებართვა, რომელსაც ასეთი მონადინებით ელოდა. ორისამი დღე ამოსარღვევი ცხვირსახოცები არ მოუტანიათ და სადილიც ერთობ მწირი ჰქონდათ. შეიძლება, ეს იყო მიზეზი, რომ მოხუცმა ჯენტლმენმა თანხმობა მისცა; ასეა თუ ისე, ოლივერს უთხრა, შეგიძლია, ნახვიდეო, და ჩარლზ ბეითზსა და მის მეგობარ როჯერსაც ჩააბარა, მიხედეთო.

სამი ბიჭი გზას დაადგა; დოჯერს ჩვეულებრივ, პალტოს სახელოები აკაპინებულნი ჰქონდა, ქუდი — გვერდზე მოგდებულნი; მასტერ ბეითში ჯიბეებში ხელეზანეობილი მისეირნობდა; ოლივერი მათ შორის მიდიოდა და ფიქრობდა, ნეტავ სად მიდიან, და წარმოების რომელ სფეროში ჩამაბამენ თავიდან.

ისე ზანტად მიაბიჯებდნენ, ისე უამრავად მიიზღაზნებოდნენ, რომ ოლივერს მალე ეჭვი შეეპარა, ამ ჩემმა ამხანაგებმა მოხუცი ჯენტლმენის გაცურება ხომ არ ჩაიფიქრეს, მგონი, სულ არ აპირებენ სამუშაოდ წასვლასო. დოჯერს ერთი მავნე ჩვევა ჰქონდა — პატარა ბიჭებს თავიდან ქუდს მოგლეჯდა და შორს სტყორცნიდა; ამასობაში ჩარლზ ბეითში, რომელსაც, ეტყობა, ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით, არხის ნაპირებზე ჩამსკრივებული დახლებიდან ვაშლებსა და ხახვებს ნახნიდა, და ჯიბეებში იტენიდა. საოცარი იყო — ამ ჯიბეებში იმდენი რამე ეტეოდა, რომ კაცი იფიქრებდა, ტანისამოსი ჯიბეებითა შეკერილიო. ამ ამბებს ისეთი ცუდი სუნი ასდმოიდა, რომ ოლივერმა დააპირა, რაც შეიძლებოდა, თავაზიანად გამოეცხადებ, რომ შინ დაბრუნებას ვაპირებო, უკვე იმას ფიქრობდა, რომელი გზით აჯობებდა დაბრუნებას; თუმცა უეცრად მისი ყურადღება დოჯერმა მიიპყრო, რომელმაც რაღაც უცნაურად შეიცვალა საქციელი.

ის-ის იყო, ვინრო ქუჩით მოედნის შორიახლოს გამოდიოდნენ კლერკენილში. ამ მოედანს ტერმინების უცნაური გაუკუღმართებით ჯერ ისევე "მდელოს" უძახიან. დოჯერი უეცრად შეჩერდა, თითი ტუჩზე მიიღო და უდიდესი გაფრთხილებითა და წინდახედულებით უკან დახია თავისი ამხანაგები.

— რა მოხდა? — ჰკითხა ოლივერმა. — ჩუ! — უპასუხა დოჯერმა, — ხედავ იმ ტიპს ნიგნების დახლთან?

— მოხუცი ჯენტლმენს გზის გადაღმა? — თქვა ოლივერმა. — ჰო, ვხედავ.

— გამოდგება, — თქვა დოჯერმა. — მაგარი საკბილოა, — შენიშნა მასტერ ჩარლზ ბეითზმა.

გაცეცხლილი ოლივერი ხან ერთს შეჰყურებდა, ხან მეორეს; მაგრამ გამოკითხვას ვერ დაუწყებდა; რადგან ორი ბიჭი ფეხაკრეფით გადავიდა გზის მეორე მხარეს და უჩუმრად მიეპარა მოხუცი ჯენტლმენს, რომელზეც წელან მიუთითეს. ოლივერი რამდენიმე ნაბიჯით უკან მიჰყვებოდა; აღარ იცოდა, დასწოდათ თუ ჩამორჩენილიყო, ამიტომ შეჩერდა და გაოცებული, უხმოდ შესცქეროდა.

მოხუცი ჯენტლმენი რესპექტაბელური გარეგნობის პიროვნება იყო, დაპუდრულთმიანი და ოქროსსათვალისანი. ქაობისფერი, ველვეტის შავსაყელიანი პალტო და ღია ფერის შარვალი ეცვა; ილღაპი კოხტა ბამბუკის ჯიბი ჰქონდა

ამოჩრილი. დახლიდან ნიგნი აედო, იდგა და ისე კითხულობდა, თითქოს საკუთარ კაბინეტში, სავარძელში მჯდარიყო. შეიძლება, მართლაც იქ წარმოედგინა თავი, რადგან ისე ჩაფლულიყო კითხვაში, რომ ამკარად ვერც ნიგნების დახლს ხედავდა, ვერც ქუჩას, ვერც ბიჭებს, მოკლედ, ვერაფერს თავად ნიგნის გარდა; ფურცელს რომ ჩაამთავრებდა, გადაშლიდა და შემდეგ გვერდს იწყებდა, სტრიქონს არ ტოვებდა, ისე კითხულობდა, უდიდესი ინტერესით და გულისყურით.

ფართოდ თვალედაჭყეტილი ოლივერის თავზარდაცემისა და შემფოთების მიზეზი კი ის იყო, რომ რამდენიმე ნაბიჯით მოშორებულმა დაინახა, როგორ ჩაუყო ხელი დოჯერმა მოხუცი ჯენტლმენს ჯიბეში, და იქიდან ცხვირსახოცი ამოაძვრინა! დაინახა, როგორ გადასცა ჩარლი ბეითზს; და ბოლოს, თვალს შეასწრა, რომ



ორივე ადგილიდან მოსწყდა, კუთხეში მოუხვია და რაც ძალი ღონე ჰქონდა, მოჰკურცხლა!

ცხვირსახოცების, საათების, ძვირფასეულობის და ებრაელის საიდუმლოს ნამში აეხადა ფარდა ბიჭის გონებაში. ერთი წუთით იდგა, შეძრწუნებულს უშხუოდა სისხლი ძარღვებში, თითქოს ცეცხლი ეკიდებოდა; მერე, დაბნეულმა და მეშინებულმა, ცქმუტვა დაიწყო; თვითონაც აღარ იცოდა, რას აკეთებდა, და უცებ ისე გაჰქუსლა, რომ მინაზე ფეხს არ აკარებდა.

ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. იმ ნამში, როცა ოლივერი ადგილიდან მოსწყდა, მოხუცმა ჯენტლმენმა ხელი ჯიბეში ჩაიყო და ცხვირსახოცი რომ მოისაკლისა, მკვეთრად შემოტრიალდა. თავქუდმოგლეჯით გაქცეული ბიჭი რომ დაინახა, სრულიად ბუნებრივად დაასკვნა, ეგ არის მძარცველიო; ხმამაღლა აყვირდა, ქურდი დაიჭირეთო და თავისი ნიგნიანად გამოეკიდა.

თუმცა მოხუცი ჯენტლმენი არ იყო ერთადერთი ადამიანი, ვინც დევნის განგაში ატეხა. დოჯერსა და მასტერ ბეითზს არ უნდოდათ ხალხის ყურადღების მიქცევა და კუთხეს რომ მოეფარნენ, პირველივე სადარბაზოში შეიფარნენ. ახლა, როგორც კი ყვირილი გაიგონეს და გაქცეული ოლივერი დაინახეს, ზუსტად ივარაუდეს, როგორ იყო საქმე, სასწრაფოდ გამოცვივდნენ და ყვირილით "დაიჭირეთ ქურდი!" ისინიც შეუერთდნენ დევნას, როგორც კარგ მოქალაქეებს შეჰფერის.

მართალია, ოლივერი ფილოსოფოსების აღზრდილი იყო, მაგრამ თეორიულადაც არ იცნობდა მშვენიერ აქსიომას, რომ თვითგადარჩენა ბუნების პირველი კანონია; რომ სცოდნოდა, ალბათ ეს ვითარება აღარ დააბნევდა. ასეა თუ ისე, რაკი მოუშადადებელი იყო, ამან უფრო დააფეთა, და ქარივით გაჰქოლდა, უკან აღრიალებული და აყვირებული მოხუცი ჯენტლმენი და ორი ბიჭი მისდევდა.

"დაიჭირეთ ქურდი! დაიჭირეთ ქურდი!" — ამ ხმაში ჯადოსნური ძალაა. ვაჭარი დახლს მიატოვებს, მჭირთავი — ურიკას; ყასაბი ლანგარს მიაგდებს; ხაბა — კალთას; მერძევე — სათლს; შიკრი — ამანათებს; მოსწავლე — მარბარილოს ბურთულებს; ქვაფენილის დამგები — იარაღებს; ბავშვი — სათამაშოს. გარბიან, ირევიან, ეხლებიან, ჩოჩქოლებენ, ცოფდებიან, ღრიალებენ, ყვირიან, კუთხეში მოხვევისას გამგლელებს ეჯახებიან,

ძალღებს წამოყრიან, ფრინველს აფორი-აქებენ: ქუჩები, მოედნები, ეზოები კი ექოთი პასუხობს ამ ხმას.

"დაიჭირეთ ქურდი! დაიჭირეთ ქურდი!" — ამ ხმას ასობით ხმა აიტაცებს, ბრბო იზრდება ყველა კუთხეში. მიჰქრინან, ტალახში მიჭყაპუნებენ, ქვაფენილებზე მიჭყაპუნებენ: იხსნება ფანჯრები, გარეთ გამორბის ხალხი, ბრბო მიჰქრის, აუდიტორია თავს ანებებს საყვარელ პერსონაჟს სიუჟეტის ყველაზე საკვანძო ადგილას, და უერთდება გაქცეულ ბრბოს, ხმას აძლევს ყვირილს, და ძალას ჰმატებს შეძახილს: "დაიჭირეთ ქურდი! დაიჭირეთ ქურდი!"

"დაიჭირეთ ქურდი! დაიჭირეთ ქურდი!" — ეს არის ადამიანის მკერდში ღრმად ჩანგრეული ვნება რამის დევნისა. ერთი საბრალო, სუნთქვაშეკრული ბავშვი დაღლილობისგან ქოშინებს: მზერაში შიში უდგას; თვალედაჭყეტილი — სასწრაფო; სახეზე ნიაღვარივით ჩამოსდის ოფლის მსხვილი წვეთები; ყოველ ნერვს ჭიმავს, რომ გაასწროს თავის მღვრებს; ისინიც კვალდაკვალ მისდევენ, უფრო და უფრო უახლოვდებიან, ენევიან, ძალ-ღონე ელევა, კიდევ უფრო ხმამაღალი შეძახილებით მიჰყიფინებენ, ღრიანცელობენ და სიხარულით მიჰყვირიან. "დაიჭირეთ ქურდი!" — ჰეი, დაიჭირეთ ღვთის გულისათვის, მოიღეთ მონყალება!

აჰა, დაიჭირეს! ერთი მარჯვე დარტყმაც და — ტროტუარზე გდია; ბრბო გულანთებული შემოერთყა გარშემო; ყოველი ახალმოსული მუჯღუგუნებით ებრძვის დანარჩენებს, რომ თვალის შეავლოს. "გაინიე!" "ცოტა ჰაერი მიუშვით!" "სისულელეა! რა მაგის ღირსია!" "ის ჯენტლმენი სად არის?" "აი, იქაა, ქუჩაზე ჩამოღის." "გაატარეთ ჯენტლმენი!" "ეს ბიჭია, სერ?" "დიახ."

ოლივერი მინაზე გდია, ტალახსა და მტვერში ამოგანგლული, ტუჩიდან სისხლი მოსდის, დაფეთებული აპყურებს გარშემორტყმულ სახეებს, ამასობაში ყველაზე ყოჩაღმა მდევრებმა დიღის ამბით შეათრიეს და შეჩურთეს წრეში მოხუცი ჯენტლმენი.

— დიახ, — თქვა ჯენტლმენმა, — ვშიშობ, რომ ეს ბიჭია.

— ვშიშობ, — დაიჩურჩულა ბრბომ, — კიაა, ხომ იცი.

— საბრალო ყმანვილი, — თქვა ჯენტლმენმა, — დაშავებულა.

— ეგ მე ვქენი, სერ, — თქვა ერთმა ზორბა, ტლანქმა ჯეულმა, და წინ წადგა ნაბიჯი, — ისე ვთხოვემუ მუშტი ცხვირპირში, კინალამ თითები დავიმტვირე. მე გავაჩერე, სერ.

ჯეულმა ქუდზე ხელი მიიღო, გაიღმიჭა, რალაცას ელოდა თავისი ტკივილის სანაცვლოდ; მაგრამ მოხუცმა ჯენტლმენმა ამრეზით გახედა, მერე შენუხებულმა მოათვალა იქაურობა, თითქოს ფიქრობდა, აქედან როგორ გავიქცეო; ალბათ, შეეცდებოდა კიდევ, და დევნა თავიდან დაიწყებოდა, პოლიციელი რომ არ გამოჩენილიყო (რომელიც საზოგადოდ ყველაზე ბოლოს მოდის ასეთ დროს), სწორედ იმ წუთში გაიკვლია გზა ბრბოში და ოლივერს საყელოში სტაცა ხელი.

— აბა, ადექი, — უთხრა უხეშად.

— მე ნამდვილად არ ვყოფილვარ, სერ. მართლა, მართლა, ორი სხვა ბიჭი იყო, — თქვა ოლივერმა, გულმხურვალედ ჩასჭიდა ხელები ერთმანეთს და მიმოიხედა, — სადღაც აქ არიან.

— ოჰ, არა, აქ არ არიან, — თქვა ოფიცერი. ირონიულად ამბობდა, მაგრამ მართალიც იყო; რადგან დოჯერი და ჩარლი ბეითში გზაზე პირველივე შესაფერის ეზოში გაუჩინარდნენ, — აბა, ადექი!

— არაფერი დაუშავოთ, — თქვა მოხუცმა ჯენტლმენმა თანაგრძნობით.

— ოჰ, არა, რას დაუშავებ! — უპასუხა ოფიცერმა და ამ სიტყვების დასტურად პიჯაკი ლამის შემოახია. — წამო, კარგად გიცნობ; არ გაგივა. აღარ ადგები, პატარა ეშმაკო?

ოლივერი ბარბაცებდა, როგორც იქნა, ათრია წელი და მამინვე პიჯაკის საყელოთი გაათრიეს, სწრაფი ნაბიჯით. ჯენტლმენი მათთან ერთად მიდიოდა, გვერდით მიჰყვებოდა ოფიცერს; ბრბოდან, ვინც დანარჩენებს აჯობა, დანინაურდა, და ოლივერს დროდადრო მოჰხედავდნენ ხოლმე. ბიჭები გამარჯვების ყიფინას სცემდნენ; ესენი კი აჩქარებით მიაბიჯებდნენ.

ნინო სადღობელაშვილი

პარალელური საქართველოს სიზმარი, ანუ ჩემი ირაკლი ლომოური

სამაჰურიდან დაიწყებ.

უფრო სწორად, სათაურის "მეორე ნაწილიდან", საიდანაც, ამ წერილის წამკითხველი მარტივად მიხვდება ჩემს მწერალთან დამოკიდებულებას.

კუთვნილებითი ნაცვალსახელი "ჩემი" ასეთ შემთხვევაში, არც თუ ხშირად მაგრამ, მაინც გამოუყენებიათ ამა თუ იმ ავტორის მიმართ საკუთარი განცდის გასამაფრებლად, მაგალითად: ჩემი გალაკტიონი, ჩემი დავით კლდიაშვილი, ჩემი სელინჯერი და ასე შემდეგ.

საფრთხილო საქმეა - ყველას ხომ ისედაც თავისი "ღმერთი" ყავს და, თან ეს მაშინ, როცა, საბოლოოდ ღმერთი მაინც ერთია და განუყოფელი. მაგრამ ლიტერატურის უკიდურეს სივრცეებში ამგვარი კუთვნილებანი ეგებ არის კიდევ მისი ცხოველმყოფელობის, მისი მრავალფეროვნების ბიძგის მიმცემი. აბა, წარმოიდგინეთ, რამდენი კარგი და უფრო კარგი მწერალია დედამიწაზე (დავკონკრეტდეთ და, ახლა ჩვენი საქართველო ვთქვათ), და ამ კარგ მწერლებს შორის შენი გული და გონება, შენი ცხოვრების იერი და ბედისწერაც კი, მაინც ერთს ან ორს გამოარჩევს, თავისად მიიჩნევს და ისე კითხულობს მას, როგორც მსახიობი (ამ პროფესიის ყველაზე კეთილშობილური გაგებით) - თავისი როლია, თვითონ უნდა ამ ნაკითხულად გარდაიხასიოს.

მსახიობიც, ალბათ, ძალიან ლოგიკურად გამახსენდა - როცა ირაკლი ლომოურის შემოქმედებაზე ფიქრობ და წერ, ძალიან ბუნებრივად ჩნდება სიტყვა - თამაში.

და, სათაურის "პირველ ნაწილსაც" მივადექით. ანუ, თამაშის პროცესიც, შედეგიც და მიზანიც - პარალელური საქართველო!

ჩემი ირაკლი ლომოურის პარალელური საქართველო.


დიდი ხნის წინათ, როცა ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი და ჩვენი ცხოვრება კი საშინლად არაბავშვურ რამეებს გვთავაზობდა - ომს - შინასაც და გარესაც, სიღარიბეს, სიცოცხლეს, სისასტიკეს და რას აღარ, მაშინ, მახსოვს, როგორ ვოცნებობდით მე და ჩემი მეგობრები პარალელურ საქართველოზე. რუკაც კი შევადგინეთ (და არა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე სასაზღვრო პუნქტებით, თუნდაც იმიტომ, რომ ამ სიტყვების მხოლოდ აკუსტიკა გვხიბლავდა მაგრამ არ ვიცოდით რა იყო ეს, თან უფროსების მიმართაც ნდობა დაკარგული გვქონდა, ვინც ათას ზღაპარს გვიყვებოდა ალტერნატიული მონაზუნი). რუკა იყო ძალიან რეალური და კონკრეტული, საგანგებო ორნამენტებით აღნიშნული საბავშვო ბაღებითაც კი, ანუ პარალელური საქართველოს რუკა-კარდით-გრამა, სადაც, გვიწოდდა რომ გვეცხვორა, სადაც ალბათ, ჯერაც ბავშვური ტვინებით, ფრენაც გვიწოდდა.

მას მერე ბევრი დრო გავიდა და ეს სიზმრებიც მიგვაგინდა.

და მხოლოდ ახლახან, სულ რამდენიმე თვის წინ, კარგად ნაცნობ და თავადაც უკვე პარალელურ სინამდვილედ ქცეულ ინტერნეტში, facebook-ზე მორიგი ძრომილისას, აი ამ სიტყვებს წავაწყდი: „პარალელური საქართველოს ქრონიკებიდან“.

ირაკლი ლომოურის ახალი ციკლი, რომელიც თანდათან იზრდება და უკვე ხუთ მოთხრობას შეიცავს. მეც სწორედ ამ ციკლმა აღმიძრა დიდი ხნის მივიწყებული ფიქრები.

არაფერი ისე არ აღვლევს ადამიანს, როგორც ბავშვობის შთაბეჭდილებებთან მყისიერი შეხება. ირაკლი ლომოური კი, ამ განცდის განზოგადებით, ჩემთვის



ყოველთვის ასეთ შთაბეჭდილებად დარჩება.

თუმცა საქმე არც ისე იოლადაა, ანუ, საოცნებო პარალელური საქართველო არ ეძიო ამ მოთხრობებში, მკითხველო! პირიქით, ახლა რომ ვფიქრობ, ის აზრიც გამივლევს ხოლმე, განგებ ხომ არ გაითამაშა "ის" ყველაფერი, რომ ისევ "აქაურობის" იმედი მოეცა ჩვენივე და ჩუმიად ეთქმევიანებინა კიდევ - "ჯანდაბას, ისევე ესა სჯობს, თურმე სხვაგან რეები ხდებაო!"

ცხადია, ჩემი მხრიდან მეტად მიაბიტური აზრია, თუმცა, ის კი აშკარაა, რომ ფარულად თუ ღიად, ირაკლი ლომოური თავის ყველა მოთხრობაში თუ ნოველაში, ადამიანს თანაუგრძობს: სულერთია სად ცხოვრობს ეს ადამიანი - ჯორჯოპონიაში თუ ეთიოპიაში (მით უფრო, თუ არც ერთია გამოგონილი ტოპონიმი და არც მეორე - აფრიკის კუთვნილება, ორივე ბედკრული საქართველოს მხატვრული ალუზია!).

ბედნიერებაა, წერდე ისე, რომ თანაუგრძობდე, რომ გიყვარდეს, და რომ გტკიოდეს კიდევ. ვინმე იტყვის - ეს ბედნიერება კი არა, ჩვეულებრივი რამაა და ასეც უნდა იყოსო, მაგრამ სამწუხაროდ, ახლა ხშირად ასე აღარაა და, ასეთმა მწერლებმაც ბედნიერების კატეგორიაში გადაინაცვლეს, ანუ, როგორც ამ უკანასკნელს სჩვევია - არის, მაგრამ ძალიან ცოტა და ძალიან მოსახელთებელი.

სადაა ეს ამდენჯერნახსენები პარალელური საქართველო? სად აღარ! ამ მწერლის ფანტაზიას ხომ ერთი სიტყვა შეიძლება ვუნოდოთ: ფეიერვერკი! ერთ სივრცეში ცხოვრობენ სკვითები და იაპონელები, კიმერელები და ეთიოპიელები; იბერიაში სამურაები ხარაკირამდე განიცდიან საკუთარ ღირსებას და, თბილისის ჩვეულებრივ უბანში, ჩვეულებრივ ქართველს, კანის გენეტიკურად თეთრი ფერი შავით ეცვლება, მის გარშემო გამეფებული შოუ-სინამდვილისგან უმწეოქმნილსა და დაბაზუნებულს.

დამსხვრეულია ძველი ხატები: მათა წყნეთელი მეორე მსოფლიო ომის გმირ ქალად გვეცხადება, სარდაფში თავშეფარებული სტალინი კი ერთი ძალიან თანამედროვედ მქლერი ფრაზით აბოლოვებს ნოველას: "კობა მაგარი!" ან, გახსოვთ ალბათ, ცნობილი ისტორიული ლოზუნგი "ქუდზე კაცი!", პარალელურ საქართველოში კი დღეს სულ სხვა დროა და, შესაბამისად, ეს სლოგანიც "ქუდზე ქალით" იცვლება.

ამ უკანასკნელმა (ნოველა "ქუდზე ქალი") განსაკუთრებული სევდა დამიტოვა. არადა, შინაარსში იმდენი იუმორია, იმდენი ვითომ ზერელე ამბები, იმდენი გამონაგონი! ერთ ქვეყანაში, რომელსაც

ჯორჯოპონია ერქვა და რომელმაც სულ ახლახან გადაიგდო ქედებიან პაჭანიკების მიძიმე უღელი, მშვიდობას დიდხანს მაინც არ უსადგურია, რადგან ხანგრძლივი ომების შემდეგ მამაკაცთა რიცხვმა საგრძობლად იკლო. პატრიოტული ვენებებით ანთებული საზოგადოებამ ახალი პროექტი შეიმუშავა: "ქუდზე ქალი", რომელიც ითვალისწინებდა ყველა ქალიშვილის (18 წლიდან) დაორსულებას და ვაჟების გამრავლებას ქვეყანაში. ამ პროექტის მსხვერპლი აღმოჩნდება ერთი წვილის, ჯარისკაცი მარტინი და 18 წლის (სინამდვილეში 17-ის, მაგრამ როგორც მერე ვიგებთ, მამის მიერ გაყალბებული პასპორტის გამო ამ პროექტში ნაადრევად ჩათრეული) გოგონას სიყვარული. თავად ამბავი უკვე თანაბრად ტრაგიკულიცაა და კომიკურიც, თუმცა ყველაზე მეტად მაინც თანამედროვე პატრიოტული პროექტების, მარაზმატიკული იდეალების, სლოგანების თუ პათოსის პარალელები ნაგაკითხებს თავს, რომელიც, როგორც ყველა უსამართლობა დედამიწაზე, მაინც დიდი სამართლის სახელით ხდება!

ირაკლი ლომოურის მწერლური ოსტატობაც სწორედ ეს მგონია - ისე დახატოს ტრაგიკული და კომიკური, ისე შეუზავოს ერთმანეთს თავისი მოკაჟაჟე ფანტაზიით, ისე მსუბუქად (და მარტივად) გაიმბოს ძალიან რთულ რამეებზე, და თან გაიმბოს ისე შთაბეჭდავად, რომ რაც არ უნდა ინვალო, ვერ დაივიწყო.

"გამონადონის" სიბრძნეც ხომ ესაა. როგორც დიდი წინაპარი იტყოდა - სიცრუის სიბრძნე. იგია მათთვისაც, ვისაც ყური აქვს სასმენელად, და იგია ყრუთათვისაც.

ანუ, ყველა დროის მკითხველისთვის. ძალიან ლიტერატურულ-თეორიულად, ირაკლი ლომოური პოსტმოდერნიზმის მკვლევართა "საკბილო" უნდა იყოს, მაგრამ, აბა, მაშინ პოსტმოდერნიზტი ყოფილან სულხან-საბაო და ეზოპეც და, სულ ცოცხალი - მაცხოვარიც დიდი პოსტმოდერნიზტი ყოფილა, რომელმაც ერთი ამბავი ოთხად დაგვიტოვა, რომელიც სასწაულებს ფანტასტიკური ჟანრის ნოველებივით თხზავდა და გზადაგზა ისეთ იგავებსაც იგონებდა, სულ თავდაყირა აყენებდა კაცთა მოდგმის ჩანაფიქრებს.

ირაკლი ლომოურის ერთი ნოველა მიყვარს - "კვატი" კვია. (ესაც facebook-ზე ვნახე, ოღონდ "პარალელური საქართველო" ციკლიდან არაა, თუმცა ერთ-ერთი ახალია და, საერთოდ, ვიდრე ეს მშვენიერი ქმნილებები ერთ ნიგში დაბინავდებოდნენ, გულწრფელი მადლობა მინდა ვუთხრა ინტერნეტის მომგონს, რომელმაც არამხოლოდ მე, არამედ მილიონობით ადამიანს მოგვცა საშუალება, ყოველდღე თუ

არა, კვირაში ერთხელ მაინც, ვიკითხოთ ახალი ნაწარმოებები). ნოველას ეპიგრაფიც ისეთი ირონიული აქვს, შესაძლოა ესეთიკური ტკობისთვის მზადყოფი მკითხველი თავიდან გააღიზიანოს კიდევ - "მითხარი რას კითხულობ ფეხსალაგში და გეტყვი რა ხვითოც ბრძანდები" - ძველი ჩინური ანდაზა". ცხადია, ეს ანდაზა ისეთივე ჩინურია, როგორც თავად ნოველა - ფეხსალაგში წასაკითხი, თუმცა შიგნით, ტყუილ-მართალი და წაკითხულ-გამოგონილი ისე ოსტატურადაა ერთმანეთში არეული, რომ გაღიზიანებულ მკითხველსაც თავს ჭეშმარიტ მკითხველად სულ მალევე აგრძობინებს. თან, ეს ყოველად უმნიშვნელო და უწყინარი არსება მზისქვეშეთში - კვატი (და არა იხვი, რადგან ალბათ დიალექტი უფრო ემსუბუქა ავტორს) ნოველაში, ამბიდან ამბავში დამოგზაურობს და სრული უფლება გაქვს წარმოიდგინო, რომ აგერ ახლა, მომდევნო აბზაცის ჩამთავრებისას, შენ წინაც გაგომანდება. კვატი რაღა დიდი სიმბოლოაო, იკითხავს ვინმე, თანამედროვე სულიერებაზე გულაცრუებული და, მეც ბევრს ვერაფერს ვუპასუხებ, მხოლოდ განცდას გავანდობ - ხომ შეიძლება ერთ დღესაც, სულ რამდენიმე გვერდში და რამდენიმეწუთიან საკითხავში, ერთმანეთს დაუკავშირდეს რამდენიმე საუკუნე და ქვეყანა და თემა, და ამ ყველაფრის მაკავშირებელი იყოს პატარა ლუნდულა კვატი, მით უმეტეს რომ მხოლოდ ერთგან, ძალიან არაპათეტიკურად, ავტორი თავად ამბობს - "ზრდობაში დამარცხებული მამაკაცების გასამხნეველად შეიქმნაო", და მერე ფიქრს თუ გზას და გასაქანსაც მისცემ, თუნდაც იმ შორეულ აზრამდეც მიუშვი, რომ ყოველივე ამ სამყაროში უხილავი კავშირით უკავშირდება ერთმანეთს, და რომ ესაა ბოლოსდაბოლოს მთლიანობის განცემა, ნათესავობის დიდი წესი, და სულაც აქამდე რომ ვიყოთ გაზრდილ-განვითარებულები, ეგებ ომსაც გადავურჩეთ და აღარც პარალელები დაგვჭირდება.

მაგრამ, იქამდე შორია. იქამდე - მწერალმა უნდა წეროს და ფიქრით მოიხელოს, თუნდაც თამაშით, გნებავთ - "სიცრუით".

მით უმეტეს, თუ ამ მწერლის სიტყვა და ზრახვა კეთილია და, მთელი გულით უყვარს ადამიანი. და ყველაფერი, რაც ადამიანს უკავშირდება.

დღემდე ესაა ნამდვილი ლიტერატურა. ირაკლი ლომოურის შემოქმედება კი - ყველა დროის ნამდვილი ლიტერატურა. ჩემთვის მაინც ასე - კეთილი კაცის სიზმრები, პარალელური საქართველოდან, ძალდაუტანებელი და მარტივი (ანუ გენიალური) თანაგრძობით ნაამბობი.

ერთი მოთხრობის კონკურსი

„ლიტერატურული გაზეთი“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით აცხადებს ერთი მოთხრობის კონკურსს 18-დან 30 წლამდე პროზაიკოსებისთვის. ავტორებმა ერთი გამოუქვეყნებელი მოთხრობა, რომლის მოცულობაც არ უნდა აღემატებოდეს 40 000 კომპიუტერულ ასო-ნიშანს, უნდა გამოაგზავნონ ელექტრონულ მისამართზე **konkursi2010@yahoo.com**. მოთხრობას თან უნდა ერთვოდეს ავტორის პირადობის მოწმობის ასლი და ტელეფონის ნომერი. მოთხრობის გამოგზავნის ბოლო ვადაა 2010 წლის 10 მაისი. სამი გამარჯვებული ავტორი დასახელდება ივნისში. გამარჯვებულებს გამოავლენს ხუთი პროზაიკოსისგან შემდგარი ჟიური. სამი გამარჯვებული ნაწარმოები და, ასევე, მოწონებული მოთხრობები გამოქვეყნდება „ლიტერატურულ გაზეთში“.

I პრემია — 1200 ლარი
II პრემია — 800 ლარი
III პრემია — 500 ლარი

ლიტერატურული გაზეთი

გამომდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
 რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
 ჟურნალისტები ხათუნა აღსაზიშვილი, ნანა კობიძე, თამარ ჟურული

ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com